


№ 3-67.



ქვეყნო-კვირეულია უწყებელი

№ 17

წელიწადი 1967



გვერდი №	
სტრუქტურა №	
კატეგორია №	
ფურცელი №	
საბჭო	<i>[Handwritten signature]</i>

ფასი 10 კპპ.

მოსიხროვით კოოპერატიული რაიონი

„ლილი“

მუშაობს ამხანაგობა „ლილი“ თაჟისი ნამდვილი და ჰიგიენური რძით მოიხრავა კარგი ბაზარი და ახლა ბუარტოვებს თაჟის სარქებს, რითაც შეძლება მიეცა მსურველთა მიწოდოს სუკეთესო რძე ბინასუდ, ცალკე დაბეჭდილ ჭურჭელით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „კლდე“ Габеевский пер. № 3. და ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Барятинская 5.

ფრანგულ-კავკასიური

საუაქროლ და სამრეწველო ბიუროლ

„იპერია“

კარნიზი

იძლევა უოველ გვარ ცნობას,

ჰუიდის მადნეულობას და სხ.

ადრეხი: Paris Faubourg Montmartre 10

3303  
3-67

№ 17

21 აპრილი 1913 წ.

ქართული

მიიღება ხელისუფლებისათვის  
1 წლ., — 5 მან. 6 თვ. — 2 მ.  
75 კ., 3 თვ. — 1 მ. 50 კ., 1  
თვ. — 50 კ. სოფლის მასწავლებელთ,  
სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომ.

მიზანი და სალიბერატურო შუამდგომლობა

რედაქცია ღიაა 10 - 3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габасвский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტის: თბილისი კლდე

**ს ა რ ჩ ე ვ ი:** საქართველოს ეკლესიის საკითხი. — შ. ამირეჯიბისა. წარსული, აწმუთა და მამაკალი ხაზნაბისა. — ალ. ყიფშიძისა. ანჩილ ვარჯაძე და ხაზნაბა. — დ. კახელიისა. ძველი კერა. — მ. გარიყულიისა. მუნიციპალური შრესა. — ფარსმან-ფარუხისა. უკანასკნელი ამბები. ახა დელი დელია. — ეკალიისა. ბაღკანკასი გარშემო. — მეომარისა. ხუჩი ფასტა.

## საქართველოს ეკლესიის საკითხი

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი ახალ ფაზაში გადადის. რუსეთის გაზეთებმა მოგვიტანეს ისეთი ცნობა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა და მით უმეტეს მათ, ვის პირდაპირ მოვალეობასაც შეადგენს - დაიცვას სამშობლო ეკლესიის ინტერესები. უპირველესად ყოვლისა ასეთად მიგვაჩნია ქართველი სამღვდლოება და მართლ მორწმუნე მართმადიდებელი ქართული სამწყსო, ქრისტესა და წმინდა ეკლესიისთვის მრავალ წამებულ მთელი ქართველი ერი.

საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა იმდენად მომწიფებულია ჩვენში და იმდენად

საზრუნავ საგნად შექმნილა ყოველ მართმადიდებელ ქრისტიან ქართველისთვის, რომ მის ისტორიის განხილვა დაწვრილებით საჭიროც აღარ არის. 1818 წელს მოიხპო დამოუკიდებლობა საქართველოს ეკლესიისა და საკათალიკოსოს მაგივრად საქართველოში ეგზარხატი გამოცხადდა. ამ აქტით მოიხპო ერთი უძველესი ეკლესიის დამოუკიდებლობა, მაგრამ რადგანაც უბრალო ბიუროკრატიული აქტი ავტოკეფალიის მოსპობისა არ იყო აქტი კანონიერი, რადგან იგი არ გამომდინარეობდა მსოფლიო კრების დადგენილებიდან, ამიტომ საქართველოს ეკლესია, მიუხედავად ყველა უბედურობისა, რაც მას თავზე დაატყდა, დღესაც ავტოკეფალურად უნდა ჩაითვალოს.

ქართველ სამღვდლოების და ქართველ მართმადიდებელ სამწყსოს საზრუნავს მხოლოდ ის შეადგენდა, რომ, რაკი ეკლესია წმ. კანონებით ავტოკეფალური იყო, დაებრუნებინა მისთვის ის უფლებანი, რომლებიც წმ. კანონების წინააღმდეგ წაართვეს მას. უფრო დიდი განვითარება ამ ცდამ და ბრძოლამ ახლო წარსულში მიიღო. საქართველოში ყველას ახსოვს ის წამი, როცა თხოვნამ თვით ხელმწიფე იმპერატორამდის მიიღწია. ხელმწიფე იმპერატორის ყურადღება კი ამ საკითხისადმი იმის ნიშნავს, რომ საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა ლეგალურია, იგი არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს და მით უმეტეს მართმადიდებელ ეკლესიის კანონებს. ხელმწიფე იმპეტა-

ტორმა საკითხი გარდასცა რუსეთის საეკლესიო კრებას, მანამდის კი ის შეტანილ იქმნა წინასწარ კრებაზედ, სადაც მიწვეულ იქმნენ ქართველი ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე და სხვათა შორის ისეთი მკოდნენი საკითხის ისტორიისა, როგორც პროფ. ა. ცაგარელი და აკად. ნ. მარრი. სამწუხაროდ ამ წინასწარ კრებამ არ მოისურვა საკითხის მკვიდრ ნიადაგზედ დაყენება; საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა კრებას თავი მიანებეს და საქმეც დიდხანს მიყუჩდა.

ებლა ხელმეორედ წამოაყო თავი ავტოკეფალიის საკითხმა და, როგორც ეტყობა, ეს უნდა იყოს უკანასკნელი ფაზა, როდესაც მისი ბედი ასე თუ ისე უნდა გადაწყდეს. ახლო მომავალში რუსეთში გაიხსნება საეკლესიო კრება, რომელზედაც სხვათა შორის განიხილავენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს, მაგრამ ეტყობა რუსეთის ეკლესიის ხელმძღვანელებს წინდაწინვე ჰქონიათ გადაწყვეტილი ქართული ეკლესიის სრული გაუქმება, რაც იქიდანაც სჩანს, რომ ამ კრებაზედ დასწრების უარს აცხადებს მსოფლიო პატრიარქი გერმანი, სხვათა შორის იმ მოსაზრებითაც, რომ მას არ შეუძლიან მონაწილეობა მიიღოს ისეთ კრებაში, რომელსაც აზრად აქვს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება.

ავტოკეფალიის საკითხი არასოდეს ასე მკაფიოდ არ წამოყენებულა მართმადიდებელ საქართველოს წინაშე. გაუქმება ჩვენის ეკლესიისა იმას მოასწავებს, რომ მძიმე ლოდი დაადო მთელ ჩვენ სულიერ და სარწმუნოებრივ ცხოვრებას, რომელიც წარსულში აღმოცენებული იყო ქრისტეს უდიდეს მცნებაზედ და მომავალშიაც გავრცელება უნდა იყოს იმავე საქრისტიანო მცნებისა და კულტურისა. გაუქმება ჩვენის ეკლესიისა ნიშნავს იმ ღვაწლის გაუქმებას, რომელიც მიუძღვის მართმადიდებელ ქართულ ეკლესიას ქრისტეს სარწმუნოების წინაშე წარსულში და იმ სულაერ მოღვაწეობის მოსპობას, რომელიც უნდა გავსწიოთ მომავალში. გაუქმება ჩვენის ეკლესიისა ნიშნავს თვით საქრისტიანო სარწმუნოების გაუქმებას ჩვენში. საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ხალხმა ტანჯვით ზიდა ქრისტეს ჯვარი, არ გადაგვიცია იგი ურწმუნოთათვის, თუმცა ეს სიცოცხლედ გვიღირდა, და დაკარგვა მისი ეხლა, ჩვენ სულიერ დაკარგვას ნიშნავს. ჩვენ დავკარგეთ სამეფო, ჩვენ დავკარგეთ მეფეები, მაგრამ ჩვენი სული ჯერ კიდევ სცოცხლობდა მით, რომ იგი გამთბარი იყო ქრისტეს

სარწმუნოებით, ნუგეშს ვპოვებდით ჩვენს მრავალ ტანჯულ ეკლესიაში. ეს იყო, თუ ვნებავთ, სული ჩვენი და როცა ეს უკანასკნელიც მიუქვთ, ქართველ ხალხს უფლება აქვს ~~ჩვენს წინაშე~~ ჩააღიშნოს შეგვჩა?

აი რათა გვგონია, რომ როცა ასეთი საკითხის წყდება, მართმადიდებელი ქრისტიანი ქართველი ერი კვლავ მოითხოვს სადაც ჯერ არს, თავის ეკლესიის აღდგენას და მისი დაცვა ღვაწლი იქნება მართლ-მორწმუნე ქრისტიანისთვის, მიუხედავად იმისა, მართო ჩვენ დავიცვავთ მას, თუ ჩვენთან ერთად მართმადიდებელი რუსებიც.

შ. ამირეჯიბი

## წარსული, აწმყო და მომავალი ხიზნობისა \*)

### II.

(ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ)

ზემოდ უკვე მოვიხსენეთ, რომ „ხიზანთა საქმე“, ანუ როგორც ეხლა რუსები ამბობენ— „XIX-ая и с к и м в о п р о с ь“, 1864 წლის შემოდგომამდე არ არსებობდა. ძველი ისტორიული ხიზნობა უწყინარი იყო და როგორც უწყინარი და უკბილო არავის ზიანს და ვნებას არ აყენებდა. ეს გარემოება ერთხმად აღიარეს მამულის პატრონებმა და დაამტკიცა მთავრობა<sup>2</sup>. პლებისციტი, ან მიტინგი რომ ყოფილიყო მაშინ ჩვეულებად, შეიძლება ხიზანთა კრებულს იგივე ეთქვა, რაც მთავრობამ და მამულის პატრონებმა სთქვეს.

ბატონ-ყმობის გადავარდნის დროის ტფილისის გუბერნატორი კონსტანტინე ივანეს ძე არლოვსკი, ტომ თ პოლონელი იყო. იგი გადმოასახლა მთავრობამ საქართველოში 1831—1832 წლ. პოლონეთის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის. ჰაბუკი იყო, სამშობლოს მოწყვეტილი არლოვსკი, საქართველოში ჩამოსვლის ეამს. სამსახური დაიწყო საგუბერნიო სამმართველოში სულ მცირე მოხელედ, მაგრამ ნიჭმა და უნარმა თავისი გაიტანა და გუბერნატორობა იშოვნა. არლოვსკი საქართველოში დაცოლშვილიანდა და ისე ზედმიწევნით

\*) იხ. „კლდე“ № 16, 15 და 13.

შეისწავლა აღმოსავლეთი საქართველო, რომ მისთვის დაფარული აღარა იყო რა. ეს ამბავი იმისთვის გავიხსენეთ უალაგო-ალაგას, რომ დავანახვით მკითხველს, - ისეთის კაცის მოწმობას, როგორც იყო არლოვსკი, ფასი უნდა ჰქონდეს. არლოვსკი კი გადაჭრით ამბობს, რომ ძველი ხიზნობა უწყინარი დაწესებულება იყო.

მაშ როდის დაიწყო ხიზნობამ კბენა?

აი სათავე „ხიზანთა საქმის“ გაჩენისა, ესე იგი ჯერ წყლის ამღვრევისა და შემდეგ სრულიად არევიდარევისა.

როგორც ვიცით, ბატონ-ყმობის გადავარდნის კანონი დამტკიცდა 1864 წელს და გამოქვეყნდა ტფილისსა, გორსა, თელავსა და სიღნაღში 8 ნოემბერს 1864 წ. ამ კანონში მეშვიდე და მერვე მუხლნი შეეხებოდა ხიზნობას. უწყინარია ეს მუხლები, მაგრამ ისე ყრუდ არის ნახსენები ხიზნების ბედნი, ისე ბუნდოვანად, რომ ვინც ძალზე არ არის ჩახედული ხიზანთა ბედში, ვინც მიჩვეული არ არის ძველი ენით დაწერილ კანონის კითხვას, ვერც თავს გაუგებს და ვერც ბოლოსა. ხიზნებმა თავისებურად გაიგეს მეშვიდე და მერვე მუხლნი კანონისა, სწორედ ისე როგორც მიწის მონატურ გლეხკაცის გულსა და სულს შეეფერება. ნებისით, თუ უნებლიედ მთავრობამ თავი არ გაიცხელა აეხსნა ხიზნებისთვის ნამდვილი აზრი მე-7 და 8 მუხლებისა და როცა უსიამოვნობა ჩამოვარდა ხიზნებსა და შემამულეთა შორის, ხიზნების მხარე დაიჭირა, მიიღო იგინი თვის მფარველობის ქვეშ და ბოლოს ხომ 1891 წ. კანონიც გამოაქვეყნა, რომელიც შემამულეს ფაქტიურად ხელი ააღებინა სახიზნო მამულზე, ხოლო ხიზანი შემოსა დიდის უპირატესობით.

ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, მაგრამ იძულებული ვართ სიტყვა-სიტყვით მოვიყვანოთ ქართულად ტექსტი ძველის თარგმანისა, რომელიც ქართულად გადმოღებულია განსვენებულ მიხეილ ბირთველის ძის თუმანიშვილის მიერ. თუმანიშვილი დიდი მკოდნე იყო. საგლეხო კანონებისა, მაგრამ საარგუნა საგლეხო კანონები იმ ინეთ, რომელიც მიღებული იყო მაშინ განათლებულ საზოგადოება.

აი თვით ეს საბედისწერო მეშვიდე და მერვე მუხლნი კანონისა: 7. „მოვალეობა გარდასახადის მიცემისა ფულად, რომელსაც 19 თებერვლის 1861 წლის წეს-დება ორი წლის განვლინაში ვალად სდებს შინა მსახურთა, განვრცელდება გლეხებთაგანზედაცა, რომელნიცა თუმცა არიან დასახლებულნი ხიზანთა უფლებითა სხვისა მებატონისა ანუ

უწყებისა (სახაზინოსა თუ საეკლესიოსა) მიწაზედა, ანუ რომელნიცა მსცხოვრებენ ქალაქებში და სავაქრო სოფლებში. მაგრამ აძლევენ დღეს ესრეთსა გარდასახადსა ფულად. გარდასახადსა ფულად, რომელსაც აძლევენ დღეს გლეხნიცა. მებატონეობა მოემატოს იმაზედ მეტად, რასაც ისინი იძლევიდნენ დამტკიცებამდე დამატებულთა ამათ კანონთა. ყოველს შემთხვევაში ფულის გარდასახადი არ უნდა აღემატებოდეს ოცდა ათს მანათსა წელიწადში თვითულს წლოვანს მამა-კაცზედა“. 8. „ორის წლის ვადის შემდეგ, გლეხნი მოხსენებულნი წინათ ჩუცნებულს 7 მუხლში, განთავისუფლდებიან ყოველის მოვალეობისაგან უწინდელს მებატონესთან; გარნა ხიზანი დარჩებიან ხიზნის მდგომარეობაში იმ საფუძვლებზედ, რომელნიც არიან განწესებულნი თავისუფალთა კაცთა თვს; გლეხნი, მსცხოვრებნი ქალაქთა და სავაქრო სოფლებში, იქმნებიან ქვემდებარენი კანონთა, დაწესებულთა შინაყმათათვის 19 თებერვლის 1861 წლის წეს-დებაში“.

აი სულ ეს ორიოდ სიტყვაა 1864 წლ. კანონ-მდებლობაში ხიზნების შესახებ. ან კი რა უნდა ეთქვა ამაზე მეტი ხიზანთა იმ კანონს, რომელიც ანთავისუფლებდა ბატონ-ყმობიდან ყმას და რომლის საადგილ-მამულო ბედსაც იგი აწესრიგებდა? ხიზანს მამულის პატრონთან ბატონ-ყმური ურთი-ერთობა არა ჰქონია, მისი ყმა არ იყო და მაშასადამე ბატონ-ყმობის მომსპობი კანონი მათ ვერც შეეხებოდა.

მდაბიოდ რომ ვსთქვათ, აზრი მეშვიდე მუხლისა ესაა: ორის წლის განმავლობაში ბატონ ყმობის გადავარდნის დღიდან სხვისა მამულზე ჩახიზნებული კაცი, თუ იგი ყმა იყო და არა პირადად თავისუფალი წოდებით, თვის მებატონეს ძველებურად ემსახურებოდა ისე, როგორც მოვალე იყო ორს წელიწადს კიდევ ემსახურნა ბატონისთვის შინა მსახურს. ორის წლის შემდეგ (8 მუხლი) შინა მსახურნი თავისუფალნი იყვნენ ყოველგვარ მოვალეობისაგან უწინდელ ბატონთან. სწორედ ამ გვარად თავისუფლდებოდა ძველის ბატონის გადასახად-მოვალეობისაგან ის ყმაც, რომელიც ჩახიზნული იყო სხვისა მამულზე. მაშასადამე ეს მუხლი კანონისა შეეხება იმ ხიზანს, ვინც წოდებით ყმა იყო თავ დ-აზნაურისა, ან ეკლესია-მონასტრისა. უკე თუ იგი წოდებით თავისუფალი იყო, ან ეკუთვნოდა ხაზინას, კანონის მერვე მუხლის ფარგალში ვერ მოექცეოდა. რისაგან გაანთავისუფლებდა მერვე მუხლი, როდესაც ამ ჯურის ხიზანს არავითარი

ბატონ-ყმური ვალდებულება და გადასახადი არა ჰქონია წინად, ბატონ-ყმობის დროს? „ხიზანნი დარჩებიან ხიზნის მდგომარეობაში იმ საფუძვლებზედ, რომელნიც არიან განწესებულნი თავისუფალთა კაცთათვის“, ესე იგი წოდებით თავისუფალი ხიზანი თავისუფალ ხიზნადვე დარჩებაო. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან წოდებით თავისუფალ ხიზანს ბატონ-ყმობის დროს არა ჰქონია ბატონ-ყმური გადასახადი და განა სასაცილო არ იქნებოდა იგი გაერთავისუფლებინა კანონს ორის წლის შემდეგ, ბატონ-ყმობის გადავარდნის დღიდან, იმ გადასახადიდან, რომელიც თავის დღეში არ უხდია?

1861 წლის კანონის მეორე მუხლის აზრი ჩვენთვის ნათელი და ადვილად გასაკებია, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით გლახაკებზედ. მისი დარდი და ოცნება სულ სხვაა და სწორედ ისე გაიგო მეორე მუხლი, როგორც უჯობდა. კანონი ხომ პირდაპირ ამბობდა: „გლახნი განთავისუფლდებიან ყოვლის მოვალეობისაგან უწინდელს მებატონესთან; გარნა ხიზანნი დარჩებიან ხიზნის მდგომარეობაში იმ საფუძვლებზედ, რომელნიც არიან განწესებულნი თავისუფალთა კაცთა თვისო“, მორჩა და გათავდა. აქ ყველაფერია ნათქვამი, ისიცა, რომ მებატონის ყოვლის მოვალეობისაგან თავისუფლობა მოიტანა ახალმა კანონმა და ისიცა, რომ ხიზანი თავისუფალი კაციაო.

აი აქედან დაებადათ ძველ ხიზნებს ის აზრი, რომ რაკი კანონმა გაგვანთავისუფლა ბატონის ვალდებულებისაგან, მაშ სახიზნო მამული ჩვენი ყოფილა და ხელს ვერავინ გვახლებსო, მამულს ვეღარ შეეხება ძველი პატრონო.

ამ გვარად 1864 წლის კანონის 7 და 8 მუხლებმა რევოლიუცია მოახდინა ხიზნების გონებაში. მართალია, განმარტება შეეხებოდა მარტო იმ ხიზანს, ვინც წოდებით ყმა იყო, მაგრამ ორთავე კატეგორიის ხიზნებმა ერთნაირად გაიგეს „თავისუფლება“ მეორე მუხლისა და ეს თავისუფლება თავისებურად გამოიყენეს. რუსის კანონმა, რომელმაც ყმობიდან გაანთავისუფლა ამოდენა გლახაკობა და ბატონ-ყმობა სამუდამოდ მოსპო, ჩვენ რალად დავტოვებდა უნუგეშოდ და უმამულოდ, განა ჩვენც გლახები არა ვართ, განა ჩვენც, როგორც დროებით-ვალდებულნი, მიწას არ ჩავბლუით და ხელმწიფეს არ ვემსახურებითო. რაკი ასეთი აზრი დატრიალდა ხიზნების გონებაში და თანდათან მტკიცდებოდა, ცხადია, რომ ძველს ხიზნურს გახწყობილებას და ურთიერთობას სახე და ფერი უნდა ეც-

ვალა. ძველი ადათი ვეღარ ადათობდა. დავის უსიამოვნების გამოსარკვევად ხიზანი მიდიოდა მზრის უფროსთან. ან ახლად გამწესებულ მომრიგებელ-შუა-კაცთან, უწინდელი შუა-კაცი არმეტნატორე, რომელიც ადათის ძალით სახიზნო დავას არკვევდა, ახლა სრულიად დაიხრდილა. ძალა და ღირსება დაეკარგა ადათს, გაუქმდა იგი ერთის კალმის მოსმით.

მამულის პატრონსა და ხიზნის შორის ჩამოვარდნილმა ურთიერთობამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა თვით მომრიგებელ-შუა-კაციც. არ იცოდა რა პასუხი მიეცა ან მომჩივან ხიზნისთვის, ან მამულის პატრონისთვის. ძველებურად, ხიზნურად აღარ მემსახურება ხიზანო, ამბობდა მამულის პატრონი; კანონმა გამანთავისუფლა, რალაში უნდა ვემსახურო მამულის პატრონსაო, იძახდა ხიზანი, არ ეყო, რაც ვემსახურე, ქვეყანა განთავისუფლდა ხელმწიფის ბრძანებით და ჩვენც თავისუფალნი ვართო.

ადგილობრივ დებულობის ძალით მომრიგებელი შუა-კაცი არჩევს და სწყვეტავს დროებით-ვალდებულ და ყოფილ ბატონის შუა ატეხილ დავას ნადელის შესახებ. ხიზნობის და მამულის პატრონთა საჩივარი, უფრო—კი მითქმა-მოთქმა და „ახალ კანონის“ თარგმნა—კომენტაჲები მომრიგებელ-შუა კაცს არ ექვემდებარებოდა. ამის გამო იგი უარს ეუბნებოდა—ჩემი საქმე არ არის, სადაც გინდათ იქ იჩივლეთო. რა პასუხით ისტუმრებდა მომჩივან ხიზანს და მამულის პატრონს მზრის უფროსი, ჩვენ არ ვიცით. საფიქრებელი კია რომ გარკვეულს რამეს ვერც ეს პოლიციის მოხელე ეტყოდა. თუ ქართველი იყო უფროსი, უეჭველია ურჩევდა ძველებურად დარჩენას, როგორც ჩვეულება მოითხოვდა, მაგრამ ასეთი რჩევა ხიზანს არ მოეწონებოდა და გულში უეჭველად გაივლებდა ასეთს ფიქრს: მზრის უფროსი თავადია და თავისიანს უჭერს მხარსაო. თუ უფროსი რუსი იყო, რომელსაც შეიძლება პირველად ესმოდა—თუ რა ხილი იყო ხიზნობა, ეტყოდა—მოითმინეთ, გუბერნატორს შევეკითხები და დარიგებას ვთხოვ—თუ როგორ მოვიქცე ამ შემთხვევაშიო. რადგანაც ხიზნების შესახებ არც გუბერნატორის საკუქნაოში, ესე იგი კანცელარიაში ეყარა რამე, პასუხი გვიანდებოდა, ან სრულიადაც არ მოდიოდა.

გულ გადაღეულმა ხიზანმა არზები აფრინა ტფილისს—მეფის მოადგილესთან და გუბერნატორთან—გვიშველეთ, მამულის პატრონა გვაფიწროვებენო.

ეს პირველი არზებია „ხიზანთა საქმის“ სათავე, რომელიც შემდეგ ისე უზომოდ გაიბერა, რომ მთავრობას დაავიწყდა დროებით ვალდებულნი და 1880—1890 წლებში მარტო ხიზნების დავი-დაარაბას ანდომებდა თვის ძალასა და ღონეს. ტფილისში მოსული არზები უკანვე დაბრუნდა პროვინციაში გამოსაძიებლად და გამოსარკვევად, თუ რამდენია ხიზანი, რას იხდიან, რა პირობებით სცხოვრობენ თავად-ახნაურობის მამულებზე. განმეორდა სწორედ ის, რაც მოხდა 1812 წელს. ჯერ მოსპო მოურაობა მარკიზმა პაულუჩიმ და შემდეგ განადგურებისა ძველის-ძველ საადმინისტრაციო ინსტიტუტისა, გამოძიებას შეუდგა, თუ რა ხილი იყო მოურაობა. ჯერ უხერხულად, ბუნდოვანად და გზა-გზა ახსენეს კანონში (7 და 8 მუხლნი) ხიზნობა და როცა დაინახეს, რომ წყალი იმღვრევა და უწყინარი, ძველი თავისებური საიჯარო წესი სხვისა მამულის ხმარებისა ირყევა, გამოძიებას შეუდგნენ. მართალია, ამიერ-კავკასიის კომიტეტს ჰქონდა ხიზნობაზე კოტაოდენი ცნობანი, მაგრამ დღეს, როდესაც ორი წოდება შეირყა და როდესაც მოუფიქრებლად ტბაში ჩაგდებულმა ქვამ წყალი აამღვრია, ეს ცნობანი ველარ იკმარებდა.

არზებით გამოწვეულმა გამოძიებამ და სახიზნო ცნობათა შეკრევამ ადგილობრივ საპოლიციო ბოქაულთა მიერ დიდი მითქმა-მოთქმა დაჰბადა. ხიზნები განხევდნენ, ხოლო მამულის პატრონთ ცხვირები ჩიმოუშვეს. როგორც ვატყობთ, მამული ხელიდან გვეცლებოდა და თითო-ორალა ფიცხმა თავად-ახნაურმა სასამართლოს მიჰმართა: აღარა მსურს, რომ ჩემს საკუთარ მამა-პაპეულ მამულზე ესა და ეს კაცი ხიზნად სცხოვრობდესო, გთხოვთ აჰყაროთ და მამული გამინთავისუფლოთ შორიდან მოსულ კაცისაგანაო. რადგან ხიზნობა იგივე იჯარადრობაა, ესე იგი სხვისა მამულის იჯარით აღება, მკირედის განსხვავებით, რომ საიჯარო (სახიზნო) ვალდებულობა არ იცვლებოდა, მოსამართლემ დავას ისე შეჰხედა, როგორც უბრალო საიჯარო დავას და აკმაყოფილებდა ხიზნის აყრის თხოვნას. საოლქო სასამართლომაც დააკმაყოფილა ასეთი განაჩენები. ხიზნობას ბოლო ეღებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მძლავრად ჩაერია საქმეში ადმინისტრაცია.

**ალ. ყიფშიძე.**

(შემდეგი იქნება).

**არჩილ ჯორჯაძე**



და სიზნობა

დღეს, როდესაც ხიზანთა საკითხი ბედი სწყდება და როდესაც მის გარშემო ატეხილია დავი-დაარაბა პრესაში, გამოწვეული ჩვენ ჟურნალში დაბეჭდილ წერილებით, თუ როგორ უნდა იყოს გაშუქებული და გადაწყვეტილი ხიზანთა საკითხი, დიდ ინტერესს წარმოადგენს აზრი განსვენებულ გულწრფელ მამულიშვილისა—არჩილ ჯორჯაძისა. აი რასა სწერდა სხვათა შორის ხიზნობაზე არჩილ ჯორჯაძე 1908 წ. („ეროვნულ პრობლემის გარშემო“ წიგნი I — „სამშობლო და მამულიშვილობა“ გვ. 46. თავი III.) რა განსაცდელი მოეღოს ქართველ ხალხს.

„ეროვნულ პრობლემის სიძნელე თეორიული სიძნელე არ არის.

„თეორიაში ყოველივე მწყობრად სწყდება და პლაგდება. სიძნელე იწყება იმ დროიდან, როდესაც ეროვნული პრობლემა გინდათ გადასწყვიტოთ კონკრეტულ პირობების მიხედვით, როდესაც ანგარიში უნდა გაუწიოთ მრავალ მოვლენას, რომელთა არსებობა თეორიას მხედველობაში არ მიუღია...“

„როდესაც თქვენ ხედავთ, წინად პოლიტიკურად დამოუკიდებელს რამდენსამე ერს, ერთმანეთში ერთა ვითარების გამო არეულს, როდესაც ამ არეულობის გამო ფერხდება კულტურული განვითარება თვითთელისა, და როდესაც ეს ერნი ამასთან დამონებულნიც არიან სხვა ძლიერ ერის მიერ, რომელსაც ჰსურს გასთქვიფოს სხვა და სხვა ელემენტები მის მიერ დაწესებულ სასტიკ პოლიტიკურ ფორმებში; როდესაც თქვენ ჰხედავთ, რომ ყველა ანის გამო გამოაშკარავდა რასიული, ლინგვისტური, სარწმუნოებრივი და ეკონომიური ქიშპობა და მტრობა არა მარტო ორ კლასს შორის, არა მებატონეთა და ყმათა შორის, არამედ სხვა და სხვა ერთა შორისაც, სხვა და სხვა ერთა დაჩაგრულ კლასთა შორისაც — მაშინ იწყება სიძნელე ეროვნული პრობლემის გადაწყვეტისა... ჩვენში სწორედ ამ კონკრეტულ პირობების მიხედვით უნდა გადასწყდეს ეროვნული პრობლემა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას უქმ-ადამიანთა უქმი ლაყბობის ელფერი ექნება.“

„ჩვენ არ ვკისრულობთ სავსებით დახასიათებას საქართველოს და ქართველ ხალხის ეხლანდელ მდგომარეობისას, ამ საგნის შესახებ ვრცელის წიგ“

ნის დაწერაა საქირო. ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმ გვარ ფაქტებზე, რომელნიც გვეუბნებიან და გვაფრთხილებენ: აი აქ, ამ წიაღაგზე გაიზრდება ერთაშორის შუღლი და აქ ჩატყდება ხიდი, რომელიც გინდათ ააშენოთ სოლიდარობისა და ერთობის განსამტკიცებლად... (გვ. 46, 47).

ამ საყურადღებო წინასიტყვაობის შემდეგ არჩილ ჯორჯაძეს მოჰყავს რამდენიმე მაგალითი იმ უკულმართ გარემოებისა, რომ უცხო ერთა იმიგრაცია საქართველოში იმ გვარად მოეწყოს, რომ მის შედეგად აღმოჩნდა მარტო ქართველების დაძაბუნება და დაჩაგვრა.

სხვათა შორის ეხება ხიზნობასაც ქართლში.

„გადავხედოთ ქართლს. ქართლში ამ უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაძლიერდა ოსების იმიგრაცია. ბატონ-ყმობის გადაფარდნის შემდეგ, ერთი-ორად მატულობს გადასახლება ფრონის ხეობაში. აქ გაშენდა სხვა სოფლები. ამ სოფლების გაშენებისა გამო მოისპო ტყე, ზომით 8,500 დეს. საფალავანდო მამულში. სად და ვის მიწაზე სახლდებიან ოსები? დროებით—ვალდებულ გლეხებისგან ჩამორთმეულ ჩამონაჭრებზე: თიღვა, თერგვანი, ახალშენი, ხუნდის უბანი, ტყის უბანი, ნაბაკევი და შინდარა დროებით ვალდებულ გლეხებს ეჭირათ, თანდათან ამ სოფლებში მკვიდრდებიან ხიზანი ოსები. წორბისში სცხოვრობდნენ ქართველი გლეხები, გვარად ძაისურაძეები, ტაბუკაძეები და კობერიძეები. დღეს კი არც ერთი მათის გვარისა და მოდგმისა აღარ სცხოვრობს იქ. მათ ადგილზე ხიზნები დასკვიდრდნენ. იმავე მოვლენას ვხედავთ ცისიაში, სადაც ქართველები სახლობდნენ და, სადაც დღეს იქ მათი ხსენება აღარ არის. ახალშენში, დიდი ხანი არ არის, რაც დროებით ვალდებულ გლეხებს ჩამონაჭრები ჩამოერთვათ და ოსებს გადაეცათ. იგივე მოხდა ავწევში.

სოფ. ყორნისში ამ ორმოცდაათი წლის წინად 7 კომლი ხიზანი იღვა, დღეს მემამულეების მეცადინეობით, 120 კომლი ხიზანი სცხოვრობს. მთლად ხერხეულიძეების მამული დღეს ხიზნების ხელშია, ტატიშვილების მამულშიაც იგივე ამბავია. ეს მამული ზომით 2,000 დესეტინაა აქ გაშენდა შვიდი სოფელი ოსებისა; ამ ბოლო დროს სოფ. ოქონაში მემამულეებმა დაასახლეს 14 კომლი ხიზანი. ოქონელ გლეხებს წაართვეს 148 დესეტინა მამული, ცალკე სოფლად გამოჰყვეს და დაარქვეს სოფ. „გიორგი წმინდა“. სოფელ ავწევშიაც აქა-

ურმა მემამულეებმა ხიზნებს მისცეს წვრიმილ ტყე სამუშაოდ. დღეს ავწევში 14 კომლი ხიზანი სცხოვრობს... (გვ. 48, 49).

აქედამ და სხვა მაგალითებიდან ჩანს, რომ ოსების იმიგრაციას არავინ ელოდება წინ, იმ დროს, როდესაც ქართველობას გადასახლ-გადნოსახლების გზები ყველგან შეკრული აქვს. „აღმოჩნდა, რომ ქართულ ემიგრაციას საქართველოს და მთელ კავკასიის ფარგალშიაც გასავალი გზა არა აქვს, მაშინ როდესაც მიწით გაჭირვებულ ქართლს მთიდან ჩამოსული ხალხი ესევა; აღმოჩნდა, რომ ყამთა მსვლელობაში, საქართველოს საუკეთესო პროვინციებში, სადაც ძველად ქართული კულტურა ჰყვავდა დღეს ოდნავ და მოსჩანს ქართულ ეროვნების ნაშთი, რადგან იქ ეროვნული შემეცნებაც მიმქრალა, ენაც ისპობა. ჩვენი ცხოვრების უკულმართი მხარე თუ ვნებავთ, სწორედ აქ არის. აქ არის განსაკუთრებით იმიტომ, რომ ქართველ ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში სასაცილოდაც არ ჰყოფნით ამ საგნის შესახებ ლაპარაკი. როგორ, თქვენ გინდათ შეზღუდოთ სხვა ხალხის ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, გინდათ გარეკოთ არა ქართველნი საქართველოდან? ეგ ხომ შოვინისტობაა, ეგ ხომ ნაციონალისტობაა! და სხვა ამგვარი. საქმე კი უბრალო გაუგებრობაშია.

**ჩვენ არც მისვლა-მოსვლის წანაღმდეგნი ვართ, არც უცხოელების გარეკის აზრი გვაფრთოვანებს, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ემიგრაცია-იმიგრაციის საკითხი მოწესრიგებული უნდა იქმნას თანახმად სამართლიანობისა...** (ხაზი ა. ჯორჯაძისა) ჩვენ გვინდა დაუკარგოთ ემიგრაცია-იმიგრაციას სტიქიური ხასიათი და ამასთან გვინდა რომ იგი ვაბატონებულ ბიუროკრატის ხელში პოლიტიკის იარაღად არ აყოს“ (გვ. 55, 56).

ასე სამართლიანად და პატიოსნურად სჯიდა განსვენებული არჩილ ჯორჯაძე; ამ ხუთი წლის წინად, ოსების შემოსევაზე და ჩახიზნობაზე შუაგულ საქართველოში.

მას შემდეგ ზოგი გამართლდა და ზოგიც გამოიცვალა.

გამართლდა ის, რომ ხიზნობა ქართლში დღითი დღე მრავლდებოდა და ეხლა მათ ხელში ნახევარი ქართლია.

გამართლდა ისიც, რომ „ვაბატონებულმა ბიუროკრატებმა“ თავის უკანასკნელ ხიზანთა მოსპობის კანონ-პროექტით სცდილობს გამოიყენოს იგი

„პოლიტიკურ იარაღად“ ქართველ ერის ეთლიანობის წინააღმდეგ.

და თუ ყველა ეს ხდებოდა და ხდება, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ გაბატონებულ „სოციალისტურ-ეროვნულ“ მიმართულებას, რომლის აზრი ქართულ ეროვნულ საკითხების გარშემო მუდამ იცვლება, და რომელსაც ამ აზრთა გაზიარების დროს მუდამ კვირაში ორი პარასკევი აქვს. ერთ პარასკევს ძებვისა სჯამს და მეორეს მარხვას ინახავს.

დღეს მარხვას ინახავს:

„ხიზანთა საკითხი ის საფრთხობელია, რომელსაც აფრიანებენ ხოლმე ყოველთვის თავად აზნაურთა იდეოლოგიები“ გვიპასუხა „სახალხო გაზეთმა“ არ. ჯ — შვილის პირობა, როცა ჩვენ აღვნიშნეთ მთავრობის უცნაური და არა ჩვეულებრივი „მოვლა-პატრონობა“ მიწებით ყელამდის ავსილ ქართლის ხიზნობისა იმ დროს, როდესაც ქართველი გლეხკაცობა, იმავე ქართლში, უმიწობით იღრჩობა და სულსა დათავს.

მაგრამ რას უპასუხებს ეხლა არ. ჯ — შვილი არ. ჯორჯაძეს?

დ. კახელი.

# მ ვ ე ლ ი კ ე რ ა

დედას გამხარებელი შვილი ვახტანგ!

გუნტვალის მშობელი შენი, ბავშვი ადარა ხარ, ვუკაცად გიგულებ, აჯახის ბურჯი და იმელო, შენგან მოკლას უკახსენელ ხსნას სწული დედა შენი და უმატ რთოდ მთენიანი შენი დები, შენ მაძუქებ ღამწოდ, ამ წყვილით მოკლულ სიცოცხლეს, შენ უნდა ადადგინო ხვენი ძველი დიდება, შენ უნდა დაუბრუნო დარღვეულ კურას წინანდელი მატევი და ბრწყინვალეობა, შენსე ვამყარებ ამ იმედებს და ამით მხოლოდ ერთი გზა და მთენიათ, რომ ისწავლეს და განათლებული კაცი გამახვიდე.

ხვენ მშვიდობით ჩამავდით, მამაშენის ბიძამ, დაამ სიამოვნებით მიგვიღო, ორი თათხი დაშითმო თავის დიდ ცაღში; დაუღაცდით როგორც მოგვიხერხებოდა, რაც შეუძლიათ ძალოსაც და ქალებსაც უნდათ მასიამოვნონ, სივიწროვე არ მაგრძობინონ, თითქოს ეს ხუთი ექვსი წელიწადი არ შეუჩვეოიყავი, სივიწროვეს და ხელ-მოკლეობას.

არ მინდა, შეიღო, გითხრა რამ ხვეს ეზო-გარემოზე, მაგრამ რა ვქნა გული არ მიდგება, კაცი სარ უხლა და უნდა იცოდეს შენი მდგომარეობა; უცხოელებს უკვე დაუძვედრებით ხვენი კარ-მიადამო, უფროსი კუნძულებით იქურაბა, ახალ გემოვნებაზე მოუწყევით ვეფლავარი. ხვენს თვალ უწვდებელ ეზოს, სიცა ზღვასავით ღვაფა და ბიბანებდა მწვანე ბაღასი, რომელსაც ქქელავდენ შექვიფიანებულ სტუმართა ცხენები და თავისუფლად დაჯირითობდენ შიგვე, ესლა სულ სხვა სხე აქვს: ათასი რამ დაუთესნიათ ახალ მუხატრობით, გადაულ-გადმოუღობავთ ღამაზის მესრებით. საფუტკრე, საკარტოფიდე, სახიდე, ნახევარზე ვენახი გაუშენებიათ; ეტეობა, მშრამელი ხელი ტრიალებს შიგ, ერთის შეხედვით ვერც-კი იცნობ შენს ეზოს, მაგრამ რას ვამბობ, კაკალი..? კაკალი ხომ ცოცხალია, ჭერ ისევე შედიდურად სდგას, ისევე ისე ამაყად გადაჭურების მოელ არე-მარეს; ჭერ არ უხლიათ ხელი მასთავის, ჰაზა შენის დასასვენებელი სავარძელიც კი არ დაუძრავთ ადგილიდან; მხოლოდ სხვა ესა და სხვა კილო ისმის შვილო, მეც ვზივარ ბიძის აივანზე და გულ-მოკლეული გავუურებ. მხოლოდ ღამე თუ გავუბდავ და მივალ შესერთან, თორემ დღისით როგორ გამოვჩნდები, როგორ დავუნახებო ან მტერს, ან მოუფარეს ამ საცოდავის უოფით. ბიძის დათას კარგად ესმის ჩემი ტანჯვა, უნდა მხუტეშოს, იმედი მომტეს. როგორც მითხრა ბიძამ, ერთი კვადიც-კი ადარ არის დარჩენილი, საუანებინ სულ გაუფლანგავს საცოდავს, მხოლოდ უკახსენელ ხანებში თავის წილ ტეესე ქქინდა ვაჭრობა და არ ვიცი რა ქქინა... ეს მამული ჭერ გაუფოფელა; დიდი ტეე არის საგვარეულო, და სადავოც ვიღაცებთან, ასე რომ ისე ჩქარა ვერ მოაკვარებდა საქმის გათავებას; იქნებ ის მაინც გაქვით დარჩენილი და უმადლეს სასწავლებელში წასასვლელად გექნეს რამე წყარო. ესლა ვათავებ წერას, თავს გაუფრთხილდი, გუნტვალის დედა. სულის სისწრაფით მოკლეი ეცხამენების დასრულებას, როგორც მორხეთ ღვთათ, დაეშურე წამოსვლას, ერთ დავსაც ნულარ განურდები მაგ სიცხეებში, იქნებ ცოტა რამ ასწავლეს კატოს და ღიზას შინაურულად. ძაღოც ციკვეთს ელიკოს მომზადებას, მამ ასე გამარჯვებულს მოკლეოდები. მაკითხვას გათუღიან უკვლახი.

შენი მოიმედე დედა ელენე.

წიკითხა ვახტანგმა დედისგან მოწერილი ბარათი, ხელა დაეშვა სკამზე, გადაშლილი წერილი მაგიდაზე ეთინა დიდხანს; დიდხანს დასხერებოდა შავის ასოებით აჭრელებულ ქაღალდს. ახალგაზრდას სახეს უდროოდ მოდელილობის დადი აჩნდა, მადალი ღამაზად გამონავთული შუბლი ორს ადგილას შეეკატა შესამჩნევ ხაზს.

ფიქრებში გაიტაცეს: „ჩვენი ეზო გარემო უცხოელებს დაუმეგობრებიათ“. სწორდა დედა. ამ სტრუქტურებს ვერ აშორებდა თავს; ასოები ერთი შეორეში ირეოდნენ, ხტოდნენ, თითქოს ადგილს იცვლიდნენ; გულში რაღაც წვეტიანი ესობოდა თითქოს და სხვადგებდა. მოაგონდა თავისი დიდი თვალ-უწვდენელი ეზო, სახლი, ბავშვობა, ზაფხულის დღეები, სახლის წინ გადასადრული ასის წლის კაკალი, მკვლავები რომ შორსა აქვს გადაშლილი; ზაფხულის ძლიერი წვიმაც კი ვერ ატანდა მის ხშირ ფოთლებს და ხის სავარძელში მჯდომარე ხაზს ვერ უშლიდა ფიქრებს. ზატარა ვახტანგიც იქვეა, მარდად ეკლესა საქანელას, დებიც მასთან არიან, მათ უდარდელ სიცილ-კისკისში არ ისმის ხვალისდელი დღის შიში და მომავლის ზრუნვა. დედა აივანზე გადმომდგარა და ანიშნებს ბავშვებს: „ფრთხილად ხაზს ნუ უშლით მისვე ნებისა. მამა არ არის შინ, ის ხომ ხშირად სულ ხშირად არ არის, ხან სად დადის თავის შავის ცხენით და ხან სად. ხაზს ეძახდა ვახტანგს, იხმობდა თავისთან და რაღასაც ხელად, აფერსიანად, დაბლა ეხურჩულებს მოხუცის ტუჩები: „ჭკვიანი უნდა გამოხვიდე, უნდა ისწავლო, დედას უნდა გაუგონო“, ... ესმოდა ვახტანგს... ეს-ღა გრძობს აგაღვარდა. აგონდება რომ რაღაცას ბევრს ჭეშოქრობდა ხაზს, ხუცდებოდა კაცი ჭკვიანი, სიკვდილს უახლოვდებოდა და შემევიდრეს-კი ვერ ხელავდა სახლს, ვისთვის ჩაეპარებინა ამოდენა მამულ-დედული? აბაღ ამ ბოლოს მოელოდა კეთილი ხაზს და ამას დარდობდა... მერე უეცრად რაღაც მოხდა; სახლში წივილი, მოსამსახურეების შეკახ-შემოკვახება; საჩქაროდ მოძღვარიც მოიყვანეს; „ვერ მოუსწროვო“ იძახდნენ. ბავშვები ოთახში ჩაკეცილნი, მერე ბევრი, ძალიან ბევრი ხალხი მოდიოდა, მთელი კვირა იტოვებს... ურიცხვი ეტლი, იმდენი დიდ-კაცობა, რაღაც ხარი ქუდებით დგდნები. ჩვენც მავები ჩაკეცილნი, ხაზს ცხენსაც. უველას, უველას, მამაც ტიროდა, დედაც, ჩვენ-კი ვთამაშობდით. ხაზს აღარსად იყო... შევიხარე წინა ოთახში... იქ სანთლები ერთი, კაცი რაღაცებს კითხულობდა, დავხედე ხაზს, სულ სხვა რაღაც უვითელი-უვითელი იყო... შამუშინდა, უკან გამოვბრუნდი, სულ ზირ-ჭვარს ვისახავდი... ხაზს სადღაც წაიღეს, მერე აღარ დაბრუნებულა. ცოტა ხანი კიდევ გავიდა და უველაფერი გამოიცვალა ჩვენსა; მამას სულ ერთთავად სტუმრები ჭეშანდა, ღმერთო ჩემო! რამდენ რასმე ამზადებდნენ მოსამსახურეები ჩვენ დიდ სამზარეულოში. ხშირად, სულ ხშირად ჭკვავდნენ ძროხას, ცხვარს, ცოცხსა და ქათამს ხომ ახგარიში არა ჭჭონდა, დედა ჩაიკეტებოდა ჩვენთან ერთად ოთახში და ტიროდა, ჩვენც ვტიროდით მის ტირილზე, არ ვიცოდით-კი რისთვის და რათა, შემოყვარდებოდა მამა და ძალიად

გათრეულა სტუმრებთან. მერე ქალაქში წამოვედით, აქაც ესე იყო, სტუმრები და ქეიფი, ქეიფი და სტუმრები, სულ ერთი და იგივე, სულ ერთი და იგივე... მერე?.. მერე რაღაც კიდევ მოხდა, ბიხა გამოვიდნენ, ხალხები ოთახები დავიჭირეთ, დედა და მამა სულ ჩხუბობდნენ... მერე მამა სხვა ტანისამოსით მოვიდა, ჩახსის მაგივრად უვითელ ფოლაქებიანი მუნდირი წვრილის ეზოლეტებით... სამსახურში შევიდა, ვეღარც ამას უშეუფლა, მეტად გაჭირდა ცხვარება, ხშირად სიდიდის-კი აღარ იყო სახლში, მე გიმნაზიაში შემოვიყვანეს... ერთ დამეს აღარ მოვიდა მამა, დედა სულ ფანჯარასთან იჯდა, გათვადილებით ადევნებდა თვალ-ყურს, ისმის თუ არა ფეხის ხმა... კატოს და ღიზის ეძინათ მე საბინში სულ-განახული დედას ვადევნებდი თვალს, როგორ მოძრაობდა მისი მკრთალი სახე. რიყრაყზე ჩამეძინა, ხმაურობამ გამომალვიდა... შევიჭერი ხალხით გავსებულ კაბინეტში და ელდა მეცა: ტახტზე ესვენა მამა, ტანისამოსი სისხლში ჭჭონდა ამოსვრილი, მარჯვენა საფეხქელში რგვალი ჭრილობა შავად გამოიყურებოდა... დედა უძრავად იჯდა, არც თმებს იგლეჯდა, არც სტიროდა, მხოლოდ მისი თვალები დაიხებით ჩამტვრებოდა მამის უძრავ სახეს... მერე? მერე აღარ მახსოვს რა იყო; როცა გონებაზე მოვედი, უველაფერი გათავუბულიყო, დედა მავებით შემოსილი იჯდა ჩემს დოგინთან, ჩემი ხელი ხელში ეჭირა, თვალებში-ღდა ახერობილი რაღაცას ხურჩულებდა, უთუოდ ჩემს თავს ავედრებდა უფაღს, ევედრებოდა ჩემი სიცოცხლის შერჩენას, მას შემდეგ სრული ექვსი წელიწადი გავიდა, არც მე, არც დედას კრინტი არ დაგვიძრავს, ერთის სიტუვითაც არ შევხებივართ მამახემის ზიროვნებას, თითქოს ორივეს გვშინებოდეს ამ კაცზე ღაზარაკის ჩამოგდებისა, რაღასაც ვეკრძალებოდით. მე სულ სუსტად ვიყავ, პირველ ავადმყოფობიდან მოყოლებული. დედა ახერხებდა, არ ვინც-კი როგორ და აკარაკში მგზავნიდა. ცოტად მოვკეთდი, ჭანხედ მოვედი. ესლა წავიდა სოფელში და აი, მხოლოდ ესლა, ექვსის წლის შემდეგ შევანარაკება ჩვენგანვე უსიტუვოდ აკრძალულულ სავანზე... „ჩვენი ეზო-გარემო უკვე დაუმეგობრებიათ უცხოელებისა“.

— ახა ღმერთო, რამდენი რამ მახსოვს. — აღმოჩნდა ვახტანგს გულიდან. თავი მადლა აიღო, გრძელ ფიქრებში უკვე ჩამოღამებულყო, დღის სინათლეს უკანასკნელი სხივი აუკრეფია დედა მიწიდან და გაუწევია სხვა მხარეზედ სამოგზაურად. ქალაქის გაღავნად შემოვლებულ მადალ მთებს იქიდან ჩუმად ამზარულა, ურმის თვლის ოდენა ვეპერთელა მთვარე, წითლად გამოშუქებისა და ხელფხურად განადებულ ქალაქზე უხვად დაუფრქვევია თავისი მადლიანი სინათლე. ვახტანგის ზატარა ოთახისთვისაც არ დაუმურია თავისი სიუხვე. ახალგაზრდამ მოაფლო

თვალი თავის თაზს, ჯადოსნური სინათლე ცელქად და-  
სთამაშებს იატაკს, მაციდას, საწოლს, კედელს, სწიგნო-  
ბელსა. ქუჩიდან ხმაურობა მოისმის, გაზაფხულია, ყველა  
და ყველაფერი სინათლეს ეტანება, ხაზი ასამანი მო-  
რცხვად გადმოხრილა, სურნელებს აფრქვევს. დადლი-  
ლი გონება დასვენებას თხოულობს, წმინდა ჰაერზე გავ-  
ლას, ვახტანგი ქუდს იღებს, წასასვლელად ემზადება...  
„ხვალ რო გამოვლდა, რა დროს სიარულია?.. ჩსხახის  
რადაც გულის ხმა. გამოდი გარედ რაღას ელი? გზად  
ხემათ გამოვიღი, ხელი გამომიწოდე და მოკრიფე. დას-  
ტები ხემის სურნელებით. მე ხეში თაგი არ შეხანება,  
შენ არ იყო სხვა დამკრებს, ბარემ შენ იყო მადლიერი?  
— შემოსძახა ასამანმა, ხელს სიაოზე შეინძრა, გადმო-  
ხანდა და რამდენჯერმე სალაში მისცა ვახტანგს.

— გამოდი გარედ ახალგაზრდავ ისედაც დადლი-  
ლი ხარ, ცოტა დაისვენე და ისევე დაუბრუნდი შენს გა-  
ლიას. — შემოესმა ხურხული, რომელიც გაზაფხულის დე-  
დოფაღმა დაბარა თავის შიკრიკს, ცელქ თბილ ნიაუს.

ვახტანგი გამოვი და სახლიდან, ახგარიშ-მიუცემლად  
გასწია განათებულ ქუჩებზედ. ჰორდაშირი გზა ქალაქის  
ბაღისაკენ მიდიოდა, ურიცხვი ხალხი იქით მიეწურებოდა.  
ვახტანგიც მათ გაჰყვა. ნახევარ საათის შემდეგ, ბაღის  
ერთ კუთხეში იჯდა, გარს ამხანაგები ესვია და გაცხარე-  
ბით დაბრუნდნ რაღაც საკანზე.

II

ძვირფასო დედა!

შენი წერილი მივიღე, რასაც მოუთმენლად მოველოდი.  
რადაც ათი დღეა წახვედით და მე კა, ათ საუკუნედ შე-  
ხვეწება. მეც მოუთმენლად ველოდები გამოცდების დას-  
რულებას და რა თქმა უნდა აქ აღარ გაფრედები, მოვის-  
წრათვი შენთან, ხემა მრავალ ტანჯულ დედა... შენის  
ცრემლებით გამოისუიდე მამიჩვენის დანაშაული ხვეწს  
წინაშე და მან კიდევ თვისის სიკვდილით: „სიკვდილი  
ყველაფერს ასწორებს“. უთქვამს ვიდასაც. და მამამაც თა-  
ვის სიკვდილით გამოისუიდა და გაასწორა თავისი შეც-  
დობა. მამ კთხოვ, როგორც აქამდის არ შევხებივართ,  
ხურც ამას იქით შევხებით და ვახსენებთ ცუდად. მე  
ვიცი რომ შენ გიყვარდა მამა. მიუხედავად იმდენი ტან-  
ჯვისა, მაინც გიყვარდა; ამში უკანასკნელ წუთებ-  
ში დაფრწმუნდი, როცა მის უმძრრათ სახეს ისე ჩს-  
ცქეროდი. გარდა იმ სახისა დაგვიწუებოდა ირგვლივ  
უფულა; შენი სულის კვეთება, მამინ ისევე ბავშმა გან-  
ვიცადე და ავადაც გაფხდი. მამ ხუღარ დასწრდილავ იმ  
გრძობას და გებრადებოდეს საწუადი, შორს წასული მა-  
მა. ჰატოასან სიტყვას გაძღვე თუ ვინცოცხლები, ისევე  
ისე აღვადგენ ჰანა-ხემის კერას, და სიბერის ღროს მაინც

მოგასვენებ მის სახრდილობულ ვაკლის ქვეშ. შეუსვენებ-  
ლი არა არის რა, მხოლოდ შეგდარი ვერ გაცოცხლებს  
და ეს რომ იუას შესაძლებელი, შეგდრითი აღმდგარი  
მამა ხემიც სინახულის ცრემლს დაღვრიდა. *სიკვდილი*  
ამ თვის გასულს შენთან ვიქმნება, ზემო დედა. გი-  
კონი ხელებს და ყველას ერობით მოვიკითხავ.

შენი მორჩილი შვილი ვახტანგ.

დაასრულა მეორე დღეს წერილის წერა და გაუგ-  
ზავნა დედას სოფელში.

III

დიდმა დრომ გახლო მას შემდეგ. მთელი თერა-  
მეტი წელიწადი, თავის დაუსრულებელის ხნით, ქარი-  
ვით გაჰქრა და ათასნაირი კვალი დასტოვა ცხოვრების  
გზაზე. ვახტანგმა უნივერსიტეტი დაასრულა, საექიმო  
ნაწილი ჰირველ ხარისხით გაათავა. ცხრა წელიწადი ქა-  
ლაქებში დაჰყო, თუღს ხელი შეაუღო, მეტის გამოცდი-  
ლებით აღჭურვილი დაუბრუნდა სამშობლო სოფელს;  
მიქსედა ბედით დაზარულს; წუგდადით მოცულ ცხოვ-  
რებაში სინათლის შუქი შეიტანა. სოფელი ამოძრავდა,  
გამოიცვავდა, ასაქმანდა, მცოხარეთაც გი მოიფშენიტეს  
თვალეში და გასძრეს ხელი, რათა სრულიად არ წაეღვათ  
ცხოვრების ძლიერ ტალღებს. დღეს თავი კაცია ვახტა-  
ნგი სოფლად; მისის შემწეობით ორი სკოლა გაიხსნა  
სასოფლო, სამხანაგო დამხმარებელი კასა, სამეურნეო  
ამხანაგობა, ჰატარა საავადმყოფო, სამკურნალო, უფუ-  
ლისურით დაწინაურდა სოფელი. მთელი დღეობით არ  
ილეოდა ხალხი ვახტანგის სახლის წინ; ვინ რა საქმის-  
თვის მოსულა და ვინ რისთვის. ვახტანგიც აღარა ზო-  
გავს თავს. ყველასთვის და ყველაფერს აკეთებს. სამუ-  
შაო დრო განსაზღვრულ-დაუოფილი აქვს, ყველაფერი  
თავის რიგზე მიდის, განათლებული მეუღლეც ხელს უწ-  
უფს მუშაკს და უმსუბუქებს მძიმე ტვირთს ქვეყნის სა-  
მსახურისას.

თავის დროზე მოსვენებაც იცის ვახტანგმა: სადა-  
მობით, მიუერდნობა ახლად შეკეთებულს, ძველს ჰანის  
საყარძელს. მისს საუვარელ ძველთა ძველ ვაკლის ქვეშ  
და ეძღვეს წუთიერ დასვენებას, სუღიერ დატკობას. იქ  
განახლებულ საქანულა ისევე ისე ევლება ჰატარა ომა-ქუზ. არ-  
ხილი, დედის ერთა ბიჭიკო. მოხუცი, უდროოდ წელში გა-  
ტეხილი ეღებეც იქა ზის, შესცქერის არჩილს, მის გრუზა  
თმებს. წკრიალა ხმა ჩაესმის უერში, ყველაფერი ავიწ-  
ვდება მოხუცს, მის გონებაში რაღაც ძაფი იბშის, შორს,  
შორს მიდის იმ ძაფის წვერი, ოცდა ათი წლის იქით  
უოფილ ცხოვრებას ეკიდება ძაფის ცალი წვერი, ცალიც  
ხომ კვიხისას გულზეა მიმაგრებული, ყველაფერს განვ-

დიდს ჭკუდავს მახუდა, გრძობას განადის, მაშინდელ სიხსნაღვარდეს... ეს თმა—ხუჭუჭა ბიჭიკო, ხამ ვარდან წაუარდნილი ვახტანგია? მისი ხმა, მისი თვალები მისი სიმაღლე, მას არჩილს რაღად ეძახიან? რაღაც შეკვდამა... ხელა მარცხდავს კრიალსანს... ფიქრები წუღებთან, ხელა ხიაკი მკომბებრავს, ღეხაქის წვერს განზე გააფრიალებს, კსეინა შინს იბრუნებს, ღეხაქის ბოლო, მის გვერდით მჭდომ ვახტანგს შემოჭხვევთ თავს, მას ეღაძება, სიუვარულათ ხელა იშორებს, მოხუც დედან შესტკერის პატივის ცემით, იქვე ხელსაქმეზე მჭდომ მკუდლეს გადახედავს ტრფიალით და ცელქ მოჭიკტიკე არჩილს აიუვანს ხელში, რომეღაც ესა მოიჭრა მამასთან და რაღასაც ეტიტანება.

უცხოელები ადარ მსხნანს. ძველ მუხატანესთავს უკანვე შეუეინათ დროებით უფლებული მამული და წასუღან. დიდ ეზოში კხდა ისევ თავად ვახტანგი მბრძანებლობს. მაგრამ, თავადი—ექამთა განათლებული, ხასწავლი და საქმის კადი.

**მ. გარიყული**

**მუნიციპალური პრესა**

ჯერ კიდევ არწრუნის დროსვე სომხები თბილისის საბჭოს „პატარა პარლამენტს“ ეძახდნენ.

პრესა, რომელიც ეხლა, „პატარა პარლამენტში“ გინებული არს და ორშაბათი ისე არ ჩივილის, რომ არ ჩასწიხლონ, მაშინ სხვა პატივში იყო.

— არ გვინდა პრესა! ჰყვირიან ეხლა პატარა პარლამენტის დეპუტატები.

— არ გვინდა სხვა ჟურნალისტები!

— ჩვენ ჩვენი პრესა გვაქვს.

— ჩვენ ჩვენი ჟურნალისტები გვყავს — და მართლაც ეს ასეა.

ხატისოვი არამც თუ ქალაქის თავია, იგი საუკეთესო ჟურნალისტიც არის და ზედ მიწევნით შეუძლიან აღწეროს, თუ როგორ მიიღო მათმა მალალ-აღმატებულებამ, ან მარტო აღმატებულებამ.

ჯაბარი არამც თუ საბჭოს მდივანია, იგი საუკეთესო რედაქტორია საილუსტრაციო ჟურნალისა და რიგრიგობით ხატავს ან თავისთავს, ან ქალაქის თავს, ან არკადა მილოვს.

ნიგოიტსკი არამც თუ მარტო მოსამსახურეა ქალაქის თვითმმართველობისა, იგი საუკეთესო პუბლიცისტია, რომლის ნიჭი იმისდა გვიარად იფურჩ-

ქნება, თუ წელიწადში რამდენ მანეთს უმატებენ ჯამაგირს.

თუ ამას მიუმატებთ იმასაც, რომ ყოველი ხმოსანი იმავე დროს დიდი მალაზიის პარლამენტისა და კვირაში ერთ „სარასპრადაჟო“ აფიშას შაინს სწერს, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ თბილისის ქალაქის საბჭო დაწყებული ქალაქის თავიდან და დამთავრებული უკანასკნელ ფარნის ამნთებელამდე ყველა ლიტერატორი და ჟურნალისტი.

ამის შემდეგ ცხადია, რომ ქალაქის საბჭოსთვის დამოუკიდებელი პრესა და ჟურნალისტი, რომელიც სტრიქონის ფასს პირდაპირ ქალაქის კასიდან არ იღებს—საჭირო არ არის.

ოცდაათი—ორმოცი წლის წინად კი ასე არ იყო.

„პატარა პარლამენტისთვის“ საჭირო იყო არამც თუ თბილისის პრესა, იგი საჭიროებდა საზღვარ გარეთის პრესასაც და ამ მხრივ საქმე უფრო კარგად იყო მოწყობილი.

მაშინ არამც თუ არა სდევნიდნენ კორესპონდენტებს, პირიქით თითონ იწვევდნენ და საბჭოს ამბებით სტკებობდა არა მარტო თბილისი, თვით პარიზიც კი.

არა გჯერათ?

აი მაგალითი.

ოთხმოციან წლებში თბილისში ჩამოვიდა ფრანგულ გაზეთის Temps-ის კორესპონდენტი.

— monsieur კუტული.

— ან მუ-სუ-კუ-ტუ-ლის,

როგორც ეძახდნენ ალბად მაშინ თბილისის საბჭოს კულუარებში.

შებვდებოდა რომელიმე ყელქალაღია წაჭერილ და ქოშებში ფეხებ გაყოფილ ხმოსანს მუსუ-კუტული და იმ წამსვე პარიზში კორესპონდენტის გზავნიდა:

დღეს სომხის პარლამენტის სხდომა იყო. ველაპარაკე ერთ გავლენიან წევრს პალატისას... ჩემის აზრით ეს ადამიანი ნამდვილი დელინგერია!

პარიჟის ბირჟა მალლა აღიოდა.

— დღეს შევხვდი ერთ ხმოსანს, იგი სომხის გიაცინტის როლს თამაშობს თბილისში

პარიზში ბანკები აღარ კოტრდებოდნენ.

— დღეს შევხვდი „ოპოზიციის ლიდერს“...

მაშინ ჯერ არმაკ ბაბოვი ცოცხალი არ იყო.

— ძალიან მწყინს, განაგრძობდა მუ-სუ-კუ-ტული, რომ ამისი ძმა გერმანიაშია პროფესორად და არა საფრანგეთში.

და მაშინ ბერლინის ბირჟა პარიზის ბირჟას ძირსა სცემდა.

— რა მშვენიერი ცხვირებია თბილისში—სომხეთში... პატარები...

სწერდა moncieus კუთული. პარიზის ქალები შან-ზელიზებედ გამოდიოდნენ და ცხვირებს იჭრიდენ.

— როგორ! ამბობდნენ ლამაზი მეტრესები, სომხეთში—თბილისში პატარა ცხვირები ჰქონიათ ჩვენ კი ასეთი დიდი ცხვირები გვაქვს.

ასე სპობდა სომხის პატარა პარლამენტი საფრანგეთის ცხვირებს. საფრანგეთის პრესა სავსე იყო ქალაქის საბჭოს ამბებით და სოლოლაკი მხიარულობდა.

მაშინ არ ისმოდა ხმა პრესის წინააღმდეგ.

საჭირო არ იყო საკუთარი ჟურნალისტები.

ყველაფერზედ და ყველას მაგივრად მოსსიე კუთული სწერდა და ამისთანა კუთულები მრავლად იყვნენ.

მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა.

საფრანგეთმა მალე იგრძნო, რომ „უცხვირო არმენიზმმა“ ძალიან გაიტაცა იგი და ნაციას შიში მოელოდა, სულ უცხვიროდ არ დარჩენილიყო.

გამოგზავნეს მეორე კორესპონდენტი.

მეორე კორესპონდენტიც კუთული იყო, მაგრამ კუთული არა თბილისელი, არამედ კუთული ნახიჩევნელი. კუთული ნახიჩევანში წავიდა და იქ უცნაური რამ აღმოაჩინა.

თბილისი—სომხეთი არ არის, თბილისის საბჭო არაა პატარა პარლამენტი და სომხებსაც არც ისეთი პატარა ცხვირები აქვთ!

საფრანგეთმა მარტო პანაშვიდილა გადინხადა თავის მოკრილ ცხვირებზე და დაადგინა უკან გაეწვია თავისი კორესპონდენტი სომხის „პატარა პარლამენტიდან“.

ამის შემდეგ უცხოეთის კორესპონდენტები აღარ მოდიოდნენ ერევნის მოედანზედ.

— არც საჭიროა! ფიქრობდნენ ქალაქის მამები.

— ჩვენ ვიშოვით საკუთარ კორესპონდენტებს და საკუთარ გაზეთებსაც!

და მიკიტანთა ჟურნალისტიკამ ზრდა დაიწყო.

ერთი რედაქტორთაგანი ძალიან გამძლე გამოდგა.

როცა ხრონიკაში მოთავსებულ ჯორისთვის სცემდნენ—ეს იმას ნიშნავდა, რომ თემა მოწინავე სტატიისთვის უკვე მზად იყო.

— „თბილისი 20 იანვარი 19... წ. ჩვენ ერთხელ კიდევ გვცემეს“...

გაზეთები იყიდებოდა. აღწერა სრული იყო, როგორც საბოლოო პროტოკოლში.

— ეს სულ კარგი, ფიქრობდნენ ქალაქის მამები, ჩვენს რედაქტორს მწერლობის დიდი ნიჭი აქვს, სამაგალითოდ იცის იმის აღწერა, თუ როგორ სცემენ ხოლმე მას, მაგრამ როგორც გნებავთ, ილიუზია სრული არ არის. საჭიროა სურათებიანი დამატება, სადაც დახატული იქმნება იდეურად დამწვარ-დადაგულის ნაცემის სახე...

ამ მოსაზრებით ქალაქმა განოსცა სურათებიანი ჟურნალი.

გაზეთი უილუსტრაციო და ჟურნალი საილუსტრაციო. მაგრამ სამწუხარო ამბავი მოხდა.

თითქოს საილუსტრაციო ჟურნალის ჯიბრზედ უილუსტრაციო რედაქტორს აღარავინა სცემა.

ამიტომ დაიწყეს ქალაქის მოღვაწეთა სურათების გამოფენა, ვიდრე გაზეთის რედაქტორს ვინმე სცემდა:

- ხატისოვი პროჟილში
- ხატისოვი ამფასით
- ხატისოვი ავტომობილში მარტო და ხატისოვი ავტომობილში ოგანჯანოვთან.

არშაკ ბაბოვი ქალთა უმაღლეს კურსების მსმენელებთან ერთად კრწანისის ფხვიერ ქვებზედ მჯდომარე.

ერთი პოზა ხოსან ხუნუნცისა და ორი პოზა არკადა მილოვისა.

ერთის სიტყვით „ფათრეთები“, როგორც ამბობენ ავლაბარში. დასაწყისში ჟურნალი ფოტოგრაფიული გამოვიდა. ერთი ჯაბარი ყველას ვერ ასწრობდა და ფოტოგრაფიის გარდა საჭირო იყო ლიტერატურული ძალები.

ჯაბარმა ხაჩატუროვს წერილი მისწერა.

— ერთი თანამშრომელი მასესხე.

ხაჩატუროვმა პაკეტში ერთი თანამშრომელი ჩასდო და წერილიც გააყოლა თანა.

— გიგზავნი ერთ თანამშრომელს. პირუტყვია, რომელიც ბევრ საზრდოს არ ეხოულობს.

პაკეტიდან ნიგოიტსკი ამოძვრა და ამის შემდეგ ჟურნალის ლიტერატურა გაიფურჩქნა. მოვიდნენ სხვა პირუტყვებიც და შეერთებულის ძალებით შეჰქმნეს მუნიციპალური პრესა.

ფარსმან-ფარუხი.



# უკანასკნელი ამბავი

## პატრიარქების კრება

ნამდვილი წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ მსოფლიო პატრიარქმა გერმანემ გადაჭრით განაცხადა უარი რუსეთს გამგზავრებაზე, სადაც განზრახულია მართლმადიდებელ პატრიარქის კრების მოწვევა. ამის მიზეზი რამდენიმეა. პირველი და უმთავრესი — „სტარობრიადცების“ საკითხია, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, აღძრულ იქმნება ამ კრებაზე. პატრიარქი გერმანე „სტარობრიადცებს“ მწვალებლებად არა სთვლის და ამიტომ არაოდეს არ დაიქერს იმ პოზიციას, რომელსაც უეჭველად დაადგება მოსკოვის კრება.


მეორე საკითხი საქართველოს ეკლესიის საბოლოო შეერთებაა რუსის ეკლესიასთან, რასაც პატრიარქი არ თანაუგრძობს და არც დაადასტურებს კრების გადაწყვეტილებას, თუ ეს უკანასკნელი დადებითი ხასიათის იქნება. პატრიარქი გერმანე მომხრეა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა.

გერმანე დააეჭვიანა იმ შეხვედრამაც, რომელიც ანტიოქიის პატრიარქს გაუმართეს პეტერბურგში. თურმე 21 თებერვალს, ყაზანის ტაძარში, პატრიარქის წირვის დროს, რუსის მიტროპოლიტები, წინააღმდეგ საეკლესიო კანონებისა, გვერდში ამოსდგომიან პატრიარქს და არა უკან, სხვა კრებულთან ერთად. პეტერბურგის მიტროპოლიტს ვლადიმერს უარი უთქვამს ანტიოქიის პატრიარქთან ერთად პანაშვიდის გადახდაზე საბერძნეთის მეფის სულის მოსახსენებლად.

ყველა ამას მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია მსოფლიო პატრიარქ გერმანეზე. (Утри Perrain).

მსოფლიო პატრიარქის ასეთი განცხადება, სულ სხვა ელფერს აძლევს მართლმადიდებელ პატრიარქთა კრებას რუსეთში, რომელსაც მსოფლიო კრების გარდამწყვეტი ხმა აღარ ექება; თუმცა იმ პოლიტიკურ მიმართულებაზედ, რომელსაც ეხლა ადგია რუსეთის სამღვდელთა და უმართებულესი სინოდი — ამას, შესაძლებელია, გავლენა არა ჰქონდეს. მხოლოდ მართლმადიდებელ მორწმუნე ქართველობას შეუძლიან სიამოვნებით აღნიშნოს, რომ მსოფლიო პატრიარქს არ ავიწყდება ის, რასაც სცდილობს დაივიწყოს ერთმორწმუნე სამღვდელთა რუსეთისა.

## სახენსაციო ამბავი



განჯიდან გვწერენ, რომ უკანასკნელ დროს აღძრულა საკითხი ამიერ კავკასიის გუბერნიების საზღვრების ახლად გადამიჯვნისა.

ეს საკითხი აღძრა ერევნის გუბერნატორმა ტიზენგაუზენმა და მას მიემხრო ნამესტნიკის კანცელარია. მისი პროექტი ეხლა გადაცემული იქვს ელისავეტპოლის გუბერნატორს ბ. კოვალიოვს, რომელიც, მაზრის უმფროსებთან ერთად, ამ ქამად ენერგიულად აგროვებს ამისათვის შესაფერ მასალებს და ცნობებს. ამ პროექტით თბილისის გუბერნიიდან ერევნის გუბერნიაში უნდა გადავიდეს მთელი ბორჩალოს მაზრა და ნაწილი თბილისის მაზრისა, ხოლო ელისავეტპოლის გუბერნიიდან იმავე ერევნის გუბ. გადადის მთლად მისი სამხრეთის მთიანი ნაწილი, სადაც ნოსახლეობს სომხობა.

ამასთან ერთად ელისავეტპოლის გუბერნიისთვის თბილისის გუბერნიიდან მოიჭრება ყარაიანის საძოვრები, სოფლები - აგტაგლა, ყარაჯალი, სოლან-ლული, მულანლო. ელისავეტპოლის გუბერნიის საზღვრებში ამასთანავე შევლენ გარეთ კახეთის მიწებიც — ლილოვლების, მარტყოფელების, საგარეჯელების და სხვა.

ამ რიგად ეს პროექტი, თუ ამიერ კავკასიის გუბერნიების რუქას დააკვირდებით, სრულიად უცვლის სახეს სამხრეთ ამიერ კავკასიას.

იგებს მარტოდ მარტო ერევნის გუბერნია, და აგებს თბილისის გუბ ერევნის გუბერნიის ახალი საზღვარი ზედ თბილისზედ ეკვრება. გადმოცემული ამბავი მოგვითხრობს, რომ ამ პროექტის შედგარი დამცველები სომხები არიან, რადგანაც ეს გადამიჯვნა მათთვის ყოველ მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენს.

დაწვრილებით ცნობებს ამ პროექტისას და ახლად გადამიჯნულ გუბერნიების რუქას შემდეგში მოვათავსებთ.

## ილია ჭავჭავაძის ძეგლი

წერა-კითხვის საზოგადოებამ ჩაიბარა ილია ჭავჭავაძის ძეგლი და სცნო რომ „კარგად და მაგრად არის შესრულებული განზრახული პლანი“. ეგებ ეს მართალიც იყვეს, მაგრამ მაშინ თვით პლანი უნდა იყვეს დაწუნებული, რადგან ილიას სახელს უკეთესი ძეგლი შეეფერებოდა. ნუ ვიჩივლებთ უსახსრობას: ის 15,000-ზე მეტი მანეთი, რომელიც დაიხარჯა ძეგლზედ, ბევრად უკეთესად შეიძლებო-

და დახარჯულიყო. ჯერ თვით ნიკოლაძის ქანდაკება, ჩამოსხმული შავი ბრინჯაოსაგან არ აკმაყოფილებს ქართველის სიამაყეს თავისი საუკეთესო შვილით: შავი ულამაზო ქალი დასტირის საფლავს და დიდი ფანტაზია არის საჭირო, რომ ეს ქალი რომელიმე იდეის განხორციელებად მიიღოს ახამიანმა.

ის ნიში, რომელიც ქართულ ეკლესიების გეგმაზედ ააგეს ვითომ, სრულიად დამახინჯებულია წითელი ქვის ფიკრებით, რომლითაც ამოუვსიათ პირვანდელი გამოქვაბული.

თვით „ეკლესია“ თავისი ეკვდერებით მეტად პრეტყელია და მოკლებული არქიტექტორულ ნაკვთობას: ჩუქურთმა მეტად ზერელე და არა ღრმა, სვეტები სუსტი და თვით შენობას არა აქვს სურათობა.

რუხი კედლები, რომლებიც სრულიად უაზროდ ზედ ეკლესიაზედ არიან შემდგარნი, უფრო აფუჭებენ საერთო შთაბეჭდილებას, რადგან თეთრი ფონი გამოდგმული არ არის მკაფიოდ.

აღარას ვამბობთ დაქრელებულ და მალალ მოაჯირზედ ან წარწერაზედ, რომლის წასაკითხად ადამიანი ამ მოაჯირზედ უნდა აძვრეს, ან ძეგლს თავზედ მოექცეს.

**მილიუკოვის ლექცია**

სახელმწიფო სათათბიროს წევრმა და კადეტების ლიდერმა მილიუკოვმა 17-ს ამ თვისას წაიკითხა ლექცია არტისტიულ საზოგადოებაში, — ბალკანეთის შესახებ. ვინც კი თვალყურს ადევნებდა ბალკანეთის ტრაგედიას—ამ ლექციაზედ ახალს ვერაფერს შეიძენდა, რადგან პრესიდან დაახლოვებით მთელი მსვლელობა ამ ომისა უკვე ნაცნობი იყო მსმენელთათვის. საყურადღებო მხოლოდ ორი მომენტი იყო ბატონ პროფესორის ლექციაში: მან ერთხელ კიდევ დაადასტურა კადეტთა პრინციპიალური შეხედულება ეროვნებათა თვით გამორკვევის უფლებაზედ და მათს დაუჩაგვრელობაზედ, როგორც ყველგან სხვა სახელმწიფოში, ისე რუსეთშიაც და მეორეც—ის აზრი გამოსთქვა, რომ იგი არ უარყოფს რუსეთის მისწრაფებას—აღმართოს ოდესმე თავისი დროშა სტამბოლის ბქეზედ. მაგრამ რო-

გორ მოხდება ეს უკანასკნელი, სხვა ეროვნებათა დაუჩაგვრად, ან როგორ უნდა შეურიგდეს ერთმანეთს პრინციპი თვით-გამორკვევის უფლებისა და რუსეთის საზღვრების გაფართოვების სტამბოლამდე —ამაზედ არა გაგვიგონია რა. საზოგადოებრივი შთაბეჭდილება დაგვრჩა ლექციისაგან, თითქო უსმენდით არა ოპოზიციონერს რუსეთის პარლამენტისას, არამედ წარმომადგენელს გარეშე საქმეთა სამინისტროსი.

**გაფიცვა ბელგიაში**

უკანასკნელ დროს ბელგიელ სოციალისტებმა და მუშათა ორგანიზაციებმა, დიდი მომზადების და კლერიკალურ მთავრობასთან ულტიმატუმის წარდგენის შემდეგ—გამოაცხადეს საერთო გაფიცვა. ამ ჟამად 600,000 მეტი მუშაა გაფიცული, რასაც აუარებელი ზარალი მოაქვს ქვეყნისათვის. და ამაში მხოლოდ და მხოლოდ თვით მთავრობაა დამნაშავე. რადგან დროზედ არ უწევს ანგარიშს მუშათა სამართლიან მოთხოვნას, საარჩევნო კანონის შეცვლაზედ. მუშათა პარტიამ რამდენჯერმე გააფრთხილა პარლამენტიც, მთავრობაც და კლერიკალთა მძლავრი პარტიაც, მაგრამ ისინი ჯიუტად იცავენ თავის პრივილეგიებს და უკიდურეს საშუალებამდე მიიყვანეს მუშათა შეერთებული კლასი. ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში ძნელი სათქმელია, მხოლოდ აღსანიშნავია ის ერთსულოვნობა ბელგიელ მუშებისა, რომლითაც მოეკიდნენ საერთო საქმეს და ის განუზომელი ენერგია, რომელის დახარჯვა სჭირია მუშათა კლასს, რომ მკირეოდენი ცვლილება შეიტანოს კანონ-მდებლობაში.

**ახა დელი დელია, ანუ ახალი ამბები**

**გარეშე**

მინისტრი კრივოშეინი მობრძანდა თბილისს. მეორე დღესვე გაემგზავრა შავი ზღვის ნაპირებზე, სადაც რუსთა ახალშენების საქმეს აწყობენ. დაბრუნდა თუ არა იქიდან, მინისტრი მულანის უღაბ-

ნოში წაბრძანდა, რადგანაც იქაც დიდი სამზადისია ხსენებულ ახალშენების მოწყობისა.

თბილისში დაარსდა სომეხთა ნაციონალური ბანკი, რომლის მიზანია დაეხმაროს ოსმალეთის სომეხების გადმოსახლებას ამიერ-კავკასიაში და დამკვიდრებას ბორჩალოს მაზრაში და თბილისის მიდამოებში.

შეგროვილი აქვთ კიდევ 5<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონი მან.

ადგილობრივ მთავრობის კანონ-პროექტით ქართლის შუაგული მთლად საკუთრებად ეძლევა ოსთა ხიზნობას.

**შინაური**

სარქის კაკაბაძე 23 აპრილს ქართულ თეატრში მართავს საჯარო ლექციას ამ თემაზე: „იყო თუ არ იყო შოთა რუსთაველი. თუ იყო, ვინ იყო — სომეხი თუ თათარი. თუ არ იყო, მაშ რა იყო „ვეფხვის ტყაოსანი“? ქართული საზოგადოება დიდის ინტენესით ეტანება ამ ლექციას. ბილეთები გაყიდულია კიდევ.“

გაზ. „თემის“ მიმართვამ ქართველ ხალხისადმი შოთა რუსთაველისთვის ძეგლის ასაგებად დიდი სიხარული გამოიწვია ქართველობაში .. მადლობა ღმერთს... გამოვიღვიძეთ... ამბობენ გარშემო .. გაზეთი სავსეა აღტაცებული წერილებით. ძეგლის დადგმას აპირობენ „ნახალოვკაში“.

საბოლოოდ გამოირკვა, რომ განსვენებულ ილია ჭავჭავაძის წერილი „ნუ თუ?“ დაბეჭდილი იყო გაზ. „ივერიაში“, „ცნობილ ფურცელს“ კი არც კი გაუგონია რამე ამ წერილზე და ამიტომაც არც უარი უთქვამს ილია ჭავჭავაძისთვის მის დაბეჭდვაზე. საზოგადოება ნელ-ნელ მშვიდდება.

„სახალხო გაზეთმა“ თავის ერთს საყურადღებო წერილში დაშნაკაკანებს უსაყვედურა, რომ იგი დემოკრატიულ გზას ასცდა და ნაციონალისტობას მიჰყო ხელი... „დიღამ“ უპასუხა „სახალხო გაზეთს“ — შენ თითონ გზა აგრევიანო და არა დაშნაკაკანებს. მთელი ქართველი საზოგადოება ელის ამ ტურნირის დაბოლოვებას... რომელი სო-

ცილისტური ჯგუფი გაიმარჯვეს... დაშნაკაკანები, სახალხოელები თუ დილელები.



ეურ. „კლდეში“ კიდევ ერთი საქართველო რეაქციონული წერილი დაიბეჭდა. ქართველი ხალხი ძალიან აღელვებულია.

ამ ამბებს ვკითხულობდი „ახალ კლუბის“ დერეფანში... შიგნიდან ხმაურობა ისმოდა. რა ამბავია? შევეკითხე კლუბის ლაქიას... ბანკეტი გახლავთ... ქართველი მოღვაწენი 3. მილიუკოვს აცილებენ... მილიუკოვი ლეკურსა თამაშობს...

აბა დელი დელია, საქართველო ჩვენია!

ისმოდა კლუბიდან სასიამოვნო სიმღერა.

ეკალი.

**ბალკანეთის გარშემო**

ბალკანეთის ომმა ბევრი დიდი და პატარა საკითხი წამოაყენა, რომლისათვისაც ევროპას ძალა უნებურად უნდა ანგარიში გაეწია. ოსმალეთმა, რომელიც მაგრად იდგა გადაბიჯებული დარდანელის და ბასფორის სრუტეზე, რომელსაც ხმელეთზე და ზღვაზე მილიონამდე ჯარი ჰყავდა, — მოულოდნელად დაჰკარგა მნიშვნელობა ძლიერი სახეობა და იძულებული გახდა კაპიტულიაციაზედ ახალ სახელმწიფოთა წინაშე. ევროპის დიპლომატიას სიზმრადაც ვერ წარმოუდგებოდა, რომ პატარა მოკავშირენი „ბებერ ლომს“ დააკლებდნენ რასმე და თავიდანვე დიდის რიხით გამოაცხადა — status quo, რათა ეგონა, — ოსმალეთი სასტიკად გასრეს მათ და ხელის შეშველება დასჭირდებოთ. დღეს ჩვენ მარტო გამარჯვებულ მოკავშირეთა ვხედავთ და ერთხელ კიდევ შერცხვენილ დიპლომატიას.

ბალკანეთის საკითხი ისეთი მძიმე იყო, მისი გარდაწყვეტა ისეთი რთული კომბინაციების და ხიფათების ბადეს წარმოადგენდა, რომ ვერც ერთი ევროპიელი სახელმწიფო ვერ გაჰხედავდა ამ კვანძის გადაჭრას. და როცა ბალკანეთის კავშირმა ასე

უცაბედად ჩაავლო კლანჭი და სწრაფად გამოხსნა დაუწყო ნასკვსა, — ევროპის დიპლომატიის ერთადერთი მიზანი შეიქმნა — ლოკალიზაცია ბრძოლისა და გარეშე მაყურებელის როლი. მართლაც, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ დასთმობდა გულგრილად ვისიმე ჩარევას საქმეში, რადგან ყველანი მეტად დანტერესებულნი იყვნენ — და ესეთი ქიშპობა დიდ სახელმწიფოთა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, პატარების სასარგებლო გამოდგა. არამთუ უკვე მოწყობილთ და იარაღში ჩამჯდარ სახელმწიფოთ ხვდათ წილად სრული გამარჯვება და საზღვრების გაფართოვება, სულ მოულოდნელად იშვა ახალი სახელმწიფოც — ალბანია. ავსტრია, რომელიც ყოველთვის კბილებს იღესავდა ბალკანეთზედ და ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია გადაყლაპული ბოსნია-ჰერცეგოვინა, ომის დაწყობიდანვე სცდილობდა ესარგებლნა რითიმე, მაგრამ საერთა-შორისო განწყობილება ხელს უშლიდა. ჯერ ნოვო-ბაზარის სანჯახს წაებოტინა, მაგრამ მოუცდა ანგარიში; მერე სერბიას კინალამ ომი გამოუცხადა ადრიატიკაზედ გასვლისათვის, შემდეგ რამდენიმე სხვა და სხვა ხრიკისა, ახლა ალბანიის ავტონომია მოითხოვა. ამ უცნაურ მოთხოვნას უცნაური ბედიც ჰხედა წილად. ავსტრიას, რომელიც აპირობდა ალბანიის შექმნას, როგორც მეტოქისას სერბიასა და ჩერნოგორიისათვის, უცაბედად ანგარიში წაუხდა და ის პატარა ქვეყანა, რომელსაც უწევდა დახმარებას დიპლომატიურად; ფინანსიურად და იარაღითაც, რომელიც მარტო იმ გარემოებამ შექმნა, რომ ევროპის სახელმწიფოანი ამით აცხრობდნენ გაღიზიანებულ საომარ ენს ავსტრიისას — დღეს ჩერნოგორიას უმეკობრდება სხვების წინააღმდეგ. ამ რიგად ავსტრია, მთელი ბალკანეთის ომის განმავლობაში ხიშტ-ზარბაზნით ამრეხილი — ყოველთვის ხახა-შშრალი რჩებოდა და დღევანდელი მისი უკანასკნელი მოთხოვნილება: გინდა თუ არა სკუტარი ალბანეთისა უნდა იყოსო — ჰკარგავს ყოველს სიმწვავეს და ლოდიკურ საფუძველს. ალბანიამ იგრძნო თავისი ძალა, უცებ ისარგებლა გამწვავებული მდგომარეობით და დღეს თუ ხვალ და მოუკიდებელ თუ არა, მეტად თავისუფალ სახელმწიფოდ გადიქცევა. ესად-ფაშამ, რომელმაც დაუთ-

მო ჩერნოგორიას სკუტარი იმ პირობით, რომ ალბანელთა ჯარი უვნებლად გაეყვანა (თვითონაც ალბანელი გამოდგა), — საოცარი პოლიტიკური/ნაბიჯი გადასდგა: ოსმალეთი დამარცხდა მისი სამსახური ველარაფერი შვილი იქნებოდა; აქვე კი, მისი სამშობლო ალბანია ბედს ეწია, ევროპა გამოექომაგა და მაშასადამე საფუძვლიანად მოიმაგრა ფენი. პირდაპირი ანგარიში მოითხოვდა და კიდევ აასრულა — თავისი 10,000 მეომარი, შეიარაღებული და გაწვრთნილი, გაზიდა სამშობლოში. მართალია, ავსტრიას ასეთი ნაბიჯი არ ექაშნიკება, მაგრამ ველარც ერთ საბუთს ვერ წარუდგენს საერთა-შორისო კონფერენციას ამის წინააღმდეგს. თვითონ შექმნა ალბანია, თვითონ იცავდა მას, როგორც ეროვნულს ერთეულს და საზღვრებსაც რაც შეიძლება ფართოდ უხაზავდა და დღეს, როცა ალბანიას საკუთარი ინტერესები ებადება, რა შეუძლიან წამოაყენოს ავსტრიამ? დანარჩენი ევროპის სიმპატია ალბანიისადმი უზრუნველ-ყოფილია.

ასე ლამაზად არ ეწყობა, როგორც ირკვევა, თვით მეომარ სახელმწიფოთა ბედი. მართალია, ოსმალეთს ჩაუქრეს მზე, მაგრამ ერთმანეთსაც კარგ დღეს არ აყრიან. სერბიელნი და ბერძნები ყველგან სდევნიან და ეწინააღმდეგებიან ბულგარელთ. არბევენ ხალხს დაქერილ ტერიტორიაზედ, უკრძალავენ საკუთარ ენაზედ სწავლებას, ლოცვას და ძალად აქცევენ თავისაკენ. ატეხილ დავას სალონიკზედ და სხვა ქალაქებზედ, საზოგადოთ მომავალ საზღვრებზედაც, ბულგარეთი ჯერ ხმას არა სცემს, კიდრე ოსმალეთთან მჭიდრო ზავი არ არის ჩამოგდებული და იქნებ შორს კი არ არის ის დღე, როცა მოკავშირენი ერთმანეთსაც დაერევიან, თუმცა საბოლოოდ, შესაძლებელია, კავშირმა შეიგნოს, რომ მათი ძალა მხოლოდ ერთობაში იყო და ფედერატიულ ნიადაგზედ აშენდეს მთელი ბალკანეთის პოლიტიკური გეგმა, საცა შევლენ თავისუფლად: ბულგარეთი, სერბია, ჩერნოგორია, საბერძნეთი, ალბანია და ბოლოს, იქნება, ოსმალეთიც.

ოსმალეთის დამარცხებამ, როგორც ისტორიული კანონი მოითხოვდა, გამოიწვია და გააძლიერა ეროვნული მისწრაფებანი არა მარტო ევროპის საზღვრებში, არამედ აზიის ნაწილშიაც და დაუყენა მთავრობას კიდევ რამდენიმე საკითხი: საკითხი



არაბეთისა, სომხეთისა და ქურთებისა ცი. ოსმა-  
 ლეთის მთავრობა, ძველი და ახალიც არამთუ სა-  
 თვალაღმძი არ იღებდა, აბუჩადაც იგდებდა თავის  
 იმპერიაში მოსახლე ეროვნებათ და ევროპიელი  
 ნაწილის მოსახლეთ თვალ-ნათლივ დაანახვეს, თუ  
 რა შედეგი მოსდევს ასეთს პოლიტიკურ სიბეცეს.  
 და თუ აზიაშია ესევე გაიმეორა ოსმალეთის მთავ-  
 რობამ — ეგებ იქაც ის დღე დაემართოს. ამის წი-  
 ნასწარმეტყველება მით უფრო ადვილია, რომ ალ-  
 ბანიის საკითხმაც ნათელჰყო, რომ პატარა ეროვ-  
 ნებათა აღორძინებაში დაინტერესებულია ყოველ-  
 თვის რომელიმე დიდი სახელმწიფო, რომელსაც  
 „საკუთარი ინტერესი“ ამოქმედებს. ანატოლიაში  
 დღეს მეტოქეობენ რუსეთი და გერმანია და მათ-  
 თვის უფრო ხელსაყრელია აღორძინება არაბეთისა,  
 სომხეთისა, ვიდრე ძლიერი ოსმალეთის მთლიანი  
 სახელმწიფოსი, რომელიც მოიწადინებს თვითონ  
 დააკმაყოფილოს თავისი ბაზარიც და თვითონვე  
 სჭედოს თავისი ბედიც.

ნიშნები კი იმისა, რომ ოსმალეთს მოელის  
 დამარცხება ანატოლიაშიც — თუნდა იქიდანა სჩანს.  
 რომ ოსმალეთის (და კავკასიისა) სომხობა გაფაცი-  
 ცებით ადევნებს თვალს ახალ ისტორიის მსვლელო-  
 ბას და სკდილობს ჯეროვანად გამოყენებას. რუსე-  
 თის მთავრობა პირდაპირ დაინტერესებულია გული  
 მოუგოს ანატოლიის ქრისტიანულ მცხოვრებთ  
 და ამით ხელი შეუწყოს სომხეთის ავტონომიას.  
 თვით ოსმალეთმა თუ უკიდურესი სიბეცე არ გამო-  
 იჩინა, უნდა წინ უყველოს ასეთს გარეშე გავლენ-  
 ნას და თვითონ მისცეს სრული ავტონომია სომ-  
 ხეთს. ასეთს პოლიტიკურ განწყობილების დროს,  
 სომხებს ჰმართებთ დიდი უნარი და პოლიტი-  
 კური ტაქტის გამოჩენა, რომ დროზე მოითხოვონ  
 და მიაღწიონ საწადელს. პატარა ეროვნებათა ფარ-  
 თო თავისუფლება ხელსაყრელია არა მარტო მათ-  
 თვის, არა მარტო ზრდის მათ კულტურას და მაშა-  
 სადამე შეაქვს წვლილი საკაცობრიო საღაროში, არა-  
 მედ თვით იმ დიდ სახელმწიფოთათვის, რომლის ფა-  
 რგლებში ისინი მოქცეულან, მათი კულტურული  
 ზრდა არა მარტო ხელს უწყობს საერთო სახელმწი-  
 ფოს ზრდას, არამედ ჰქმნის იმისთანა სულიერ გან-

წყობილებასაც; ისეთს ფსიხიკას, რომელიც სახელ-  
 მწიფოებრივ განსაცდელის დროს ბუნებრივ მოკავ-  
 შირედ და მეგობრად იყოლიებს შინაურ მეტრების  
 და განდგომილების მაგიერ. ოსმალეთის სახელმწიფო-  
 ებრივი ტაქტი იმდენადვე მოითხოვს ამას, რამდენ-  
 ნადაც სომხების ბუნებრივი მისწრაფება.

მეომარი.

### ჩვენი ფოსტა

**„მოდგოთას“ ავტორს.** თქვენი ლექსი შესდგება ხუთი  
 ტაეპისაგან და 150 სიტყვისაგან, რომელთაც ასე ათა-  
 ვებთ: „...გულს ჩაეკლო ხსნის ი ა რ ი (?), აღსდგა  
 მკვდრეთით მაცხოვარი, გაიხარე ც ი ს პ ე ჰ ე ლ ა ვ,  
 გამოისმის ლხენის ზარი“. ვანა დირდა ე რ თ ი პ ე-  
 ჰ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს ამოდენა ფართი-ფურთი? ზოგს  
 მეტიცა ჰყავს ხოლმე და ზარებს არა რეკავს.

**მამიშუნს:** (? მალას უთხრეს: „ფლავი მოაქვთო“  
 — მე რაო?  
 „შენთვის მოაქვთო“, და ..  
 — შენ რაო?  
 ისე შენ, ჩემო ბატონო — იწერები: „გულითა მსურს  
 თქვენ ჭურნალში თანამშრომლობაო“  
 — მერე ჩვენ რა?  
 „ჭურნალსაც გაგივრცელებთო“  
 — მერე შენ რა?

**ზარდაცემულს** მთელი ქვეყნის კანონია: ზარდაცემულნი  
 ჩემად არიან, ჩვენ კურთხეულ საქართველოში კი  
 ზარდაცემულნიც და თავში დაკრულნიც ლექსებსა  
 სწერენ.

რედაქტორ-გამომცემელი  
 რ. გაბაშვილი.

## !!40 ДНЕЙ БЕСПЛАТНО!!

Если вы в течение 40 дней не выучитесь свободно говорить, читать и писать по немецки, французски, английски и латински по нашим самоучителям, составленным по новейшему методу (всё другое реклама),

деньги возвращаемъ обратно.

Цена самоучит. одного языка съ перес. налож. платеж. 1 руб. 10 коп., 2-хъ 1 р. 90 к., 3-хъ 2 р. 80 коп., 4-хъ 3 р. 65 к. Заказы исполняетъ единств. складъ для всей Россіи **С.-Петербургъ**. Петерб. стор. Большой пр., 56-1 **Я. К. ПЕТЕРСЪ**.

### 1-е ЗАОЧНЫЕ КУЛИНАРНЫЕ КУРСЫ

Полный курсъ лекцій для самообученіе „скромный и постный столъ“, около 100 рецептовъ кушаній, напитковъ, печенья, компотовъ, вареній, сладкихъ блюдъ пироговъ и др. 300 стр. убористаго шрифта. Цена съ перес. нал. плат. 2 р. 60 к. **НАСТАВЛЕНИЕ**, какъ правильно вести домашнее хозяйство и готовить экономическіе вкусные и питательные обѣды съ приложеніемъ разрѣзки мяса и украшеніемъ стола и блюдъ, около 100 стр. съ рисунками. Цена 1 р. 20 к. обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками) Съ заказами обращаться исключительно къ **Я. К. ПЕТЕРСУ**. С.-петерб. Петр. стор. Большой пр., № 56.

### ПОЛЬЗУЙТЕСЬ СЛУЧАЕМЪ

Поступили въ продажу по удешевленной цѣнѣ 3 большихъ тома около 800 страницъ, убористаго текста.

## ПОСМЕРТНАЯ художественная произведенія

гениальнаго писателя

### Л. Н. ТОЛСТОГО

Высылаемъ съ пересылкой наложеннымъ платежомъ вмѣсто 3 р. 50 к. за 2 р. 50 к. или по полученіи всей стоимости, можно марками, заказы выполняетъ единственный складъ для всей Россіи.

СПБ., Пет. ст., Большой пр., № 56-1  
**Я. К. ПЕТЕРСЪ**.

Въ настоящій моментъ кровавыхъ событій въ *Турціи* и на *Балканахъ* нѣтъ болѣе популярной и занимательной книги для чтенія, нѣтъ нѣвероятныхъ любовныхъ и политическихъ интригъ и разоблаченій жизни мусульманскаго Востока, столкнувшася съ цивилизаціей, какъ сенсационнѣйшій романъ.

## «ТУРЕЦКІЙ СУЛТАНЪ»

— ИЛИ —

### „Тайны Константинопольскаго Двора“

популярнѣйшаго въ Европѣ романиста-историка

## ГЕОРГА БОРНА.

Свыше 1.000 страницъ убористой печати большого формата на роскошной бумагѣ.

Въ виду ограниченнаго количества остающихся экземпляровъ этой занимательнѣйшей книги, предлагаемъ поспѣшить съ заказами на книгу, которая высылается **ПЕЧЕЛЕННО** по полученіи 3 руб. (съ упаковк. и пересылкою) или налож. платежомъ при запискѣ въ 1 руб. (можно почтов. и гербов. марками), безъ чего заказы не выполняются.

Всю корреспонденцію; денежную, заказную и простую надлежитъ адресовать:

**С.-ПЕТЕРБУРГЪ**

Петерб. Стор., Большой просп. № 56 А.  
**Я. К. ПЕТЕРСУ.**

По удешевленной цѣнѣ!

## ВРЕМЕННО РАСПРОДАЕТСЯ

Вмѣсто 10 руб. за 4 руб. 50 коп.; въ роскошномъ золотомъ тисненномъ переплетѣ 7 р. 50 к. 15 Томовъ больш. формата Полнаго собранія Сочиненій

### Гюи де-Мопассана

Имя *Гюи де-Мопассана* гремитъ славою не только среди соотечественниковъ, но и среди всего міра. Достаточно указать на отзывы *И. С. Тургенева* и *Льва Толстого*, чтобы судить о томъ высокомъ положеніи, какъ *Гюи де-Мопассанъ* занялъ въ исторіи Всемирной литературы. Памятникъ воздвигнутый ему въ *Парижѣ* краснорѣчиво говоритъ о симпатіяхъ французской націи. Его произведенія разошлись разновремено болѣе 300 изданій въ сотняхъ тысячъ экземпляровъ и переведены на языки *всѣхъ народовъ*. Сочиненія его особенно большаго интереса представляютъ теперь, когда такъ много говорятъ о **ПОЛОВЫХЪ ОТНОШЕНІЯХЪ МУЖЧИНЪ И ЖЕНЩИНЪ**. Въ его романахъ читатель найдетъ разрѣшеніе этого вопроса въ изображеніи *правдивой действительности*. Книжки высылаются наложеннымъ платежомъ.

Задатокъ въ размѣрѣ 2 руб. 50 коп. прошу выслать, можно марками почтовыми или гербовыми, безъ чего заказы не выполняются.


Единств. Складъ для всей Россіи: **С.-Петербургъ** Петерб. Сторона, большой пр., 56-1 **Я. К. ПЕТЕРСЪ**.

მ ო ი თ ხ ო ვ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

# კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა


ქვემოთაა



უზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინოს ნოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდა 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, ბათუმში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინოს გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლეს ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866<sup>1</sup>/<sub>2</sub> ღმრთინა ვენახი. საიღამაც უზიდავენ საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს!

## ქალაქი ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება— გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმიანი მოწინააღმდეგე და მკვიდრად დაჩვენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.